

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის 80-100 წელი



შაბათი, 7 ივლისი. 2018 წ. №138 (8539),

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## თუ ღმერთი არ არსებობს, ⑥ მაშინ ყველაფერი მოსულა!



აღარც ის არის დიდი საიდუმლო, რომ თურქეთის ხელისუფლების მეკარე პაგრონაგის ქვეშ მყოფი ე.წ. მსოფლიო პაგრიარქი და საპაგრიარქო აშშ-ის გარკვეული ნეოლიბერალური წრეებიდან ფინანსდება.



ეს ის პეგრეა, რომელიც სანდრა რულოვსის მოძღვარი იყო, წმინდა ხატების გვერდით უწმინდური სააკაშვილის უმარმაზარი ფოტოები ჰქონდა „დასვენებული“ და რომელიც სადისკ მძებს – დათა და ბაჩანა ახალაიებს მარტვილის რეზიდენციაში მალავდა და იქიდანვე გააპარა საზღვარგარეთ...



ამიგომაც, დეთის ნებით, „დროულად გამოეცხადა“ წმინდა გიორგი, რომელმაც ჩვენს პაგრიარქს შთააგონა, რომ მოსაყდრედ მეუფე შიო დაენიშნა, რამაც „მეუფე ყანდურთა“ აშკარა თუ ფარული უკმაყოფილო დრტვინვა გამოიწვია...

## ასადის მიერ „ალიარპულ აფხაზეთს“ სირიაში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ

5 ივლისს სირიის ოპოზიციური და რევოლუციური ძალების ეროვნული კოალიციის პრეზიდენტმა აბდურრაჰმან მუსტაფამ გააკეთა ოფიციალური განცხადება, სადაც მკაცრად გააკრიტიკა ასადის რეჟიმის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება, როგორც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა, და გამოხატა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა.

აღსანიშნავია რომ, ეს უკვე სირიის მეორე ოპოზიციური კოალიციაა, რომელმაც დაგმო ასადის რეჟიმის ნაბიჯი საქართველოსთან მიმართებაში. ასადის რეჟიმის უკანონო გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე ერთი კვირის წინ ასევე დაგმო სირიის ოპოზიციური ძალების „უმაღლესი მოლაპარაკების კომიტეტის“ პრეზიდენტმა ნასრ ალ-ჰარირიმ.

სირიის ოპოზიციური და რევოლუციური ძალების ეროვნული კოალიციის განცხადებით ასადის რეჟიმი არაღეგითი მუშაობა და შესაბამისად, მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ პოზიცია არის უკანონო. აბდურრაჰმან მუსტაფა აღნიშნავს, რომ ასადის რეჟიმი გადაწყვეტილებებს იღებს რუსეთისგან მიღებული ბრძანებების საფუძველზე, ვინაიდან ის გადაქცეულია უბრალო პაიკად რუსეთის ადმინისტრირების ქვეშ.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ქართველმა და სირიელმა ხალხმა თავის თავზე იწვნია რუსეთის ფედერაციის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები და უკანონო რეჟიმების მხარდაჭერა, რაც მიზნად ისახავდა მათი თავისუფალი და ღირსეული განვითარების შეფერხებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ აბდურრაჰმან მუსტაფა შეხვდა საქართველოს ელჩს თურქეთში, ირაკლი კობლაძეს, და საქართველოს გენერალურ კონსულს სტამბულში ინგა კიკვაძეს, რომლის დროსაც განხილულ იქნა სირიაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები.



## ③ ინუზა ბაბნიძე: დახმარება დროებითია და მოსახლეობა ხვალ და ზემ თავად უნდა დადგეს ფეხზე

## აფხაზეთი „კუნძული“ რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა!

ყველაფერს რომ თავისი სახელი დაეკრძა, დღეს აფხაზი ხალხი ნაწყენია და გაბოროტებული - უფულობითა და უიმედობით გადაიღალა. და იცით, რას ამბობენ დღეს სოხუმში? „მაინც მოგვინევს, ვინმეს მივყვიდოთ, ვა-

რიანტი კი მხოლოდ ორია: ან რუსები, ან ქართველები და ამერიკელები, და არჩევანი თავისთავად ცხადია – რაკი მოსკოვს არ ვჭირდებით, ამერიკელები თუნდაც კრემლის წასაკბენად მოგვხედავენო“.

ივ. 7 გვ.

## ტრაპიზი ბერბანის რუსული ბაზის შესუიფვის გამო აკრიტიკებს

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მონტანაში მდებარე გამოსვლისას გერმანია ბიუჯეტიდან თავდაცვის მცირე დაფინანსების გამო გააკრიტიკა. ტრამპი მიიჩნევს, რომ ევროკავშირისა და გერმანიის უსაფრთხოებისათვის ყველაზე მეტს აშშ იხდის. „მან (გერმანია) რუსეთთან ნავთობ-

ბისა და გაზის შესყიდვაზე გარიგება დადო, რომლის ფარგლებშიც რუსეთს მილიარდობით დოლარს უხდის. ასე რომ, მათ სურთ, რომ ისინი რუსეთისგან დავიცვათ, მაგრამ ისინი რუსეთს მილიარდობით დოლარს უხდიან. ჩვენ კი, როგორც სრული კრედიტები, ყველაფრისთვის ვიხდით“, – განაცხადა ტრამპმა.



## რუსეთმა აშშ-ს საპასუხო ტარიფები დაუწესა

რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, მოსკოვმა აშშ-ს ახალი ტარიფების შემოღების გამო უპასუხა. შესაბამის დადგენილებას ხელი პრემიერ-მინისტრმა მოაწერა. „საკომპენსაციო ზომები მოიცავს, შემოტანილი საქონელის საფასურის 25-40 %-ით დაბეგვრას. დამატებითი გადასახადი აშშ-

ის ზოგიერთ პროდუქციას შეეხება, რომელთა ანალოგიც რუსეთში არ არსებობს“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში. ტარიფები შეეხება სამშენებლო-საგზაო ტექნიკას, ნავთობისა და გაზის მოწყობილობებს, მეტალების დამუშავების ინსტრუმენტებს და ბურღვის ტექნიკას.

## სომხეთის კათალიკოსის რეზიდენციის კანცელარიაში დემონსტრანტები შეიჭრნენ

მომდრამობა „ახალი სომხეთი, ახალი პატრიარქის“ აქტივისტები, რომლებიც სომხეთის კათალიკოსის გარეგინ მეორის გადადგომას მოითხოვენ, ეჩმიაძინის კანცელარიაში შენობაში შევარდნენ და „გარეგინ წადი!“ – ყვიროდნენ. ამის შემდეგ კათალიკოსის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ჩხუბი ატყდა, რომელიც რამდენიმე წუთი გაგრძელდა, იყო ძალადობის მცდელობაც. შეკრებილებმა მხარეები დაანწყნარეს. თავად კათალიკოსმა სასულიერო პირების თანხლებით დემონსტრანტებს გვერდით ჩაუარა და მათ ყურადღება არ მიაქცია. გუშინ, შენობაში მდგომარეობა დაძაბული იყო, ადგილზე, მოპოლიზირებული იყო პოლიცია.





# ტყის უსისტემო ჭრამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სტიქიას

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე სოფელ ჭუბერში იმყოფება. მამუკა ბახტაძე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მიმდინარე სამუშაოებსა და არსებულ ვითარებას ადგილზე ეცნობა.

სტიქიის ზონაში მასთან ერთად ჩავიდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი. ადგილზე იმყოფება ასევე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ჭუბერში შექმნილ ვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტყის უსისტემო ჭრამ. მამუკა ბახტაძის თქმით, სვანეთში მომხდარმა კიდეც ერთხელ დაგვანახვა, რომ საჭიროა, მთელი საქართველოს მასშტაბით გვექონდეს სწრაფი შეტყობინების სისტემები.

„პირველადი შეფასებით, რა თქმა უნდა, სტიქია ჭარბმა ნალექმა გამოიწვია, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ტყის უსისტემო ჭრამ მნიშვნელოვნად შე-



თწყო ხელი და ვინც ამით იყო დაკავებული, ამ ხალხსაც აუცილებლად მივხვდებით. ტყის უსისტემო ჩეხვა არ შეიძლება. ესაა ჩემი პასუხი. მაგრამ ეს კონკრეტული შემ-

თხვევა, როგორც სპეციალისტები გვებუნიან და ამის ყველა ნიშანი არსებობს, გამოიწვია უხვი ნალექის მოსვლამ. ამისგან დაზღვეული არავინ არ არის. ამ შემ-

## საჭიროების შეთანხმებაში, განხორციელდება ჭუბერის მკვიდრი მოსახლეობის ევაკუაცია

მთავრობის ადმინისტრაციის სვანეთის რეგიონში მდინარე ნენსკრას ადიდების შედეგად მომხდარ სტიქიას ეხმარება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სოფელ ჭუბერის მიმდებარე ტერიტორიებიდან დამატებითი სამაშველო ჯგუფების და ტექნიკის მოიპოვება სდება.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მოსახლეობის ევაკუაცია.

ადგილზე იმყოფებიან შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები.

„სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, სოფელ ჭუბერში, მდინარე ნენსკრას ადიდების შედეგად მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულია ყველა შესაბამისი უწყება და სამსახური.

ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სამმართველოსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები პირველივე წუთიდან აკონტროლებენ მდგომარეობას და დახმარებას უწევენ მოსახლეობას, რომელსაც

საავტომობილო გზების დატბორვის გამო გადაადგილება უჭირს. სოფელ ჭუბერში მოპოვებულია სახანძრო-სამაშველო და საავტომობილო გზების დეპარტამენტის სპეციალისტების ჯგუფები.

სოფელ ჭუბერში იმყოფებიან მხარის რწმუნებული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ადგილზე სასაზღვრო ვერტიკალურ უკვე ჩაფრინდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი მღებრიშვილი და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი. ასევე სტიქიის ადგილას გაემგზავრნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრების მოადგილეები, გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები.

ამ დროისთვის მოხდა დამატებითი სამაშველო ჯგუფებისა და ტექნიკის მოპოვება უახლოესი ლოკაციებიდან.

საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ჭუბერის მკვიდრი მოსახლეობის ევაკუაცია.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში დაშვებულია შესახებ ინფორმაცია არ შესულა“, — აღნიშნულია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## პრაპოშტის დაგეგმვა არ არის, მოსახლეობა უსაფრთხოა

საბანკებში სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი მღებრიშვილი აცხადებს, რომ ამ დროის მონიტორინგით სვანეთში სტიქიის განმეორების საშიშროება არ არის. მღებრიშვილის განცხადებით, მაღალი რისკის ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაცია უკვე მოხდა.

„არავითარი დაგეგმვა არ არის. მსგავსი საფრთხე არ არსებობს, მოსახლეობა უსაფრთხოდ არის. მთავარია რომ მსხვერპლი არ გვყავს და მოვასდინეთ დროული რეაგირება, გამოვიყვანეთ მაღალი რისკის ზონიდან ადამიანები. თუკი ახლაც რაიმე რისკი იქნება, ადამიანებს მივაქცევთ ყურადღებას და საშიშროებებიდან გამოვიყვანთ. ადგილზე შევფასებთ სიტუაციებს და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ“, — აცხადებს მღებრიშვილი.



## პარლამენტის საზღვარგარეთო ფუნქციები იზრდება

პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებების პროექტის განხილვა დაიწყო. ცვლილებები წელს, ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდება და პარლამენტის საზღვარგარეთო ფუნქციები გაიზრდება.

ეს არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რასაც ახალი რეგლამენტის პროექტი ითვალისწინებს. ცვლილებები საკანონმდებლო პროცესის დახვეწასაც გულისხმობს. მათ შორის, შეიზღუდება დაჩქარებული წესით კანონპროექტების განხილვა.

მმართველი გუნდის წარმომადგენელი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი, რომელიც ამ კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორია, აცხადებს, რომ პარლამენტის საზღვარგარეთო ფუნქციები აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

„ჩვენ უნდა ველოდოთ თითქმის ყველა სასესიო სხდომაზე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ჩვენ უნდა ველოდოთ კომიტეტებში კიდეც უფრო დიდი დოზით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების ყოფნას და ჩვენ უნდა ველოდოთ პარლამენტის წევრების მიერ დასმულ კითხვებზე სერიოზულ პასუხებს“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.



## მთავარი პროკურორობის კანდიდატურაზე სამი პირი წინააღმდეგობა

მთავარი პროკურორობის კანდიდატურაზე შალვა თაყაიშვილი, შალვა შავგულაძე და ნინო გოგიაშვილი შეიჭრნენ.

მთავარი პროკურორობის სურვილი სულ 18-მა კანდიდატმა გამოთქვა. ნინო გოგიაშვილის და შალვა თაყაიშვილის კანდიდატურები აღნიშნულ თანამდებობაზე იუსტიციის მინისტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარუდგინა; შალვა შავგულაძე კი, პოლიტიკურმა პარტიამ „ევროპული საქართველო“ მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წარადგინა.

## „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არა აქვს და არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ ყველა დაპირებას შეასრულებს

რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება პოლიტიკურ პროცესში, მით უკეთესია კონკურენციისთვის, მათ შორის ჩვენთვისაც, უფრო მოპოვებული ვიქნებით, მაგრამ ამ ეტაპზე, როგორც ხედავთ „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არა აქვს, — ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ დავით უსუფაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის შესაძლო გაერთიანებასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არა აქვს და არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ ყველა დაპირება შესრულდება.

„რაც უფრო მეტი ადამიანი იქნება პოლიტიკურ პროცესში, მით უკეთესი კონკურენციისთვის, მათ შო-

რის ჩვენთვისაც, უფრო მოპოვებული ვიქნებით, მაგრამ ამ ეტაპზე, როგორც ხედავთ „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არა აქვს. ალტერნატივა არ ექნება იმ შემთხვევაში, თუ შევასრულებთ ყველაფერს, რასაც ჩვენს მოსახლეობას დაგვირდით. ეს არის სიღარიბის დაძლევა, სამართლიანობის შეგრძნების აღდგენა, მათ შორის სოციალური სამართლიანობისა. თუ გავატარებთ იმ რეფორმებს, რომელიც გვაქვს დაგეგმილი, არ მგონია, დიდ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული 2020 წლის არჩევნების მოგება“, — განაცხადა ზოიძემ.

## მთავრობა რამდენიმე თვით 2 სამაშველო პერტეპრენტს ქირობს

რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში 2 სამაშველო ვერტიკალური იქნება ბაზირებული და საჭიროების შემთხვევაში ქვეყანა მათ მყისიერ გამოყენებას შეძლებს.

როგორც საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოში განმარტავენ, ამ დღეებში ბელარუსიდან 2 ვერტიკალური შემოვა და 1 ოქტომბრამდე საქართველოში მუდმივად იქნება ბაზირებული. საქართველოს მთავრობა ვერტიკალურ ეკიპაჟთან ერთად ქირობს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 2 მლნ ლარამდეა გამოყოფილი. სააგენტოს ინფორმაციით, ვერტიკალური მულტიფუნქციური იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გამოყენება სხვადასხვა სამაშველო მიზნებისთვის იქნება შესაძლებელი. როგორც საქართველოს მთავრობის №1311 განკარგულებაშია აღნიშნული, სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციებზე ეფექტური რეაგირების მიზნით, ტყის ხანძრების მაღალი რისკისა და ტურისტული სეზონის აქტიური ფაზის პერიოდში არსებობს სახანძრო, სამაშველო და სამედიცინო დახმარების ფუნქციის მქონე ვერტიკალური მხარდაჭერის მომატებული საჭიროება.



# დახმარება დროებითია და მოსახლეობა სვალ და ზეგ თავად უნდა დადგეს ფეხზე



**ახალი პრემიერის დაპირებისამებრ, ბიუროკრატიაზე დაზოგილი თანხები ჩვენს საზოგადოებას მოხმარდება. რამდენად მნიშვნელოვანია, უბრალო ადამიანებზე დაიხარჯოს ის თანხები, რაც აქამდე მხოლოდ მაღალჩინოსნების კეთილდღეობას ხმარდებოდა? ამის შესახებ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი ინაზა ბაზინიძე გვესაუბრება.**

— როგორც ეკონომისტი, გეტყვით, რომ, თუკი ეკონომიკის განვითარების სტრატეგია სწორად აიგება და ამ სტრატეგიაში სისტემური კავშირები გამოვლინდება, სისტემაში ჩადებული ნებისმიერი თანხა, აუცილებლად მოიტანს მოგებას. თუნდაც ერთი ლარი ერთ ლარზე მეტ მოგებას მოგვცემს და, ამასთან ერთად, კიდევ ჩნდება ეკონომიკის საშუალება. ამიტომ ეკონომიკის განვითარების ისეთი სტრატეგია უნდა ჩამოყალიბდეს, როცა ერთი დარგის განვითარება ავითარებს სხვა დარგსაც, მაშინ შეიძლება, თანხები გამოთავისუფლდეს. თუმცა ეს თანხები არარაციონალურად არ უნდა დაიხარჯოს. მე, მაგალითად, მომწონს სამინისტროების შემცირება. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და არ გვაქვს ფუფუნების უფლება, რის შესახებაც სწორად აღნიშნა პრემიერმა. ისიც მომწონს, რაც პრემიერმა ადრე თქვა, რომ სამინისტროში შემოსულ განცხადებას პასუხი როცა გაეცემა, ეს პასუხი დასაბუთებული უნდა იყოსო. არადა, ხშირად ვხვდებით ისეთ სიტუაციას, როცა სამინისტროებიდან პასუხებს უფრო თავიდან მოცილებსთვის გვწერენ. ქართველები ისეთები ვართ, რომ სიმკაცრეც გვჭირდება. ამიტომ აუცილებლად უნდა შეიქმნას სისტემა და სტრატეგია დაეფუძნოს სისტემურ განვითარებას.

— სხვა სამინისტროებთან შედარებით ყველაზე მეტი მლელვარება განათლებისა და კულტურის სამინისტროების შერწყმამ გამოიწვია. თუ გავითვალისწინებთ, რომ კულტურა და განათლება უფრო მეტად ახლოს მდგომარეობს, შეიძლებოდა ამ კომპრომისზე წასვლა?

— ევროკავშირში არსებობდა დიდი ფონდები, შემდეგ უკვე შეიქმნა ერთი ფონდი — „ერაზმუსი“ და ამ ქოლგა-პროგრამამ შეითავსა როგორც ახალგაზრდობის, ისე კულტურისა და განათლების საკითხები. თუკი სამივე მათგანი ერთმანეთთან სინერგიულ დამოკიდებულებას იქნება, იქ არსებული თანხები გაცილებით ეფექტური აღმოჩნდება. სამწუხაროდ, ადამიანები ზოგადად ასეთები ვართ: რო-

დესაც არ ვიცით, რა ხდება, წინასწარ გვეშინია ყველაფრის. არა მგონია, მთავრობამ, რომელსაც თავისი ქვეყანა უყვარს, საზიანო ნაბიჯები გადადგას. თუ მთავრობა ნახავს, რომ რაღაც არასწორად გამოვიდა, შეიძლება, მან ეს ჩანაფიქრი შეცვალოს. ყველა ქვეყანას მისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებები აქვს, როგორც ნებისმიერ ოჯახს. ჩვენს გარშემო ნებისმიერი ოჯახი სხვადასხვანაირად აწვწილებს თავის შემოსავლებს. ზოგი უფრო მეტად განათლებაში დებს თანხებს, ზოგი — ჩაცმა-დახურვაში... ასევე ქვეყნებიც, რომლებიც თავისებურად აწვწილებენ ბიუჯეტებს.

ეკონომიკაში სხვადასხვა მოდელები არსებობს, რომელიც გულისხმობს, მოიძებნოს თანხების საუკეთესო განკარგვის საშუალება კონკრეტულად ამა თუ იმ ქვეყნისთვის. ამიტომ ერთი მზა რეცეპტი არ არსებობს. შეიძლება, გავიდეს დრო და კიდევ უფრო შეიკვეცოს სამინისტროებზე დასახარჯი თანხები, ან, პირიქით, ცხოვრებამ დაგვანახოს, რომ თანხები არასაკმარისია. ამაში ტრაგედია არ არის. როგორც ექიმი ავადმყოფს ხან ერთ წამალს უნიშნავს, ხან — მეორეს და შედეგის მიღებას აკვირდება, ეკონომიკაც ასეთია. შეიძლება, ვიღაცას შორიდან ასე არ ეგონოს, მაგრამ ეკონომიკა მართლაც ცოცხალი ორგანიზმია.

— სტრუქტურული ოპტიმიზაციის შედეგად შემცირებული სამთავრობო ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით ეტაპობრივად 3,9%-ზე ჩამოვა. 3,9% რეალისტური მაჩვენებელია?

— ყველაფერს უნდა დაეკვირდეთ, რადგან ჩვენ არ გვაქვს გამოცდილება. განვითარებულ ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკაში ოპერირების ას წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვთ. ჩვენ ხშირად გადმოგვაქვს დიდი ქვეყნების მაგალითები, ამ დროს კი 60-70-მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანაში უნივერსიტეტებიც სხვანაირი რანჟირებით არის მოწყობილი და განათლების სისტემაც განსხვავებულია. ჩვენს ქვეყანაში მართო ერთი სახელმწი-

ფო უნივერსიტეტი არსებობს და ასე მოვედით აქამდე. კი ბატონო, გაჩნდა მრავალი კერძო უნივერსიტეტი, მაგრამ ამ კერძო უნივერსიტეტების გაჩენამ გამოიწვია ის, რომ ამას წინათ გაუქმებული ერთი უნივერსიტეტი მხოლოდ სამსტუდენტო იყო. ეს არ შეიძლება. ახლა ჩვენ თვითონ ვსწავლობთ სწორად სიარულს. ცხადია, ბიუროკრატია სამინისტროების შემცირება სჯობს. თანაც, ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ 25-30 წლის წინათ არსებულ ქვეყანაში, დღეს ელექტრონული მთავრობებია. ელემენტარულად, უნივერსიტეტშიც კი ელექტრონულადაა საქმის წარმოება. ელექტრონული რეგულაცია ეკონომიკის განვითარების მესამე რევოლუციაა.

— როგორც ცნობილი კვლევითი ინსტიტუტები ამბობენ, ხვალ და ზეგ, ანუ 2050 წელს იქნება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან სწრაფად ვითარდება ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, ამ ყველაფერს არ მოჰყვეს შემცირება. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერმა ქვეყანამ და, მათ შორის, საქართველომაც ეფექტური ხარჯვის გზები უნდა ეძებოს. ლამაზად უღერს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში დაზოგილი თანხები ხალხს მოხმარდება, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ეს სიამოვნება?

— რა თქმა უნდა, ეს თანხები ხალხს უნდა მოხმარდეს. სხვათა შორის, როდესაც სოციალური დახმარებების კუთხით განვითარებულ ქვეყნებში რაიმე პროექტი იწყება, ადამიანებმა იციან, რომ ეს მუდმივი არ იქნება, ანუ მოსახლეობაც უნდა განეწყოს საიმისოდ, რომ მას დღეს ესმარება, მაგრამ ხვალ და ზეგ მან უნდა იფიქროს იმისთვის, თავად როგორ დადგეს ფეხზე უფრო მეტად.

— თქვენ ასხენთ საზოგადოების მიმართ დახმარება, მაგრამ ეკონომისტებს თუ გაქვთ წინასწარ წარმოდგენილი, როგორ უნდა მოხმარდეს ჩვენს საზოგადოებას ეს თანხები — პენსიების მატებით თუ განათლებაში თანხის ჩადებით?

— მედიცინა შემთხვევით არ ვახსენე. ეკონომიკაც იმდენად დიდია, როგორც მედიცინა. ძალიან დიდ მიმოქცევაში არსებული თანხა ნიშნავს იმას, რომ უცხოური ვალუტა მაშინვე გაუფასურდება. ეკონომიკაში არსებობს ისეთი მოვლენა, როდესაც ერთი სფეროს ამოქაჩვა იწვევს მეორის გაფუჭებას. ფასები რომ გაუფასურდეს და დოლარი ავიდეს 350-ზე, რა შედეგს მივიღებთ? ვთქვათ, ბევრი პენსია გაიჭა, ხელფასები გაიზარდა, ეს ყველაფერი უნდა იყოს ქვეყანაში წარმოებული პროდუქტით უზრუნველყოფილი. ასეთ შემთხვევაში, დოლარი არ გაიქცევა 350-ზე ან 400-ზე. რომ გაიქცეს, მაშინ ვინ იქნება პასუხისმგებელი ფასების ზრდაზე? ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ძალიან დიდი თანხის მიმოქცევაში გაშვება საშიშია.

თანაც, ჩვენ რთულ გარემოში ვცხოვრობთ. ჩვენი ქვეყნის გარშემო თუნდაც იმავე რუსეთის, თურქეთის ვალუტებს სერიოზული პრობლემები აქვთ. ჩვენი ვალუტა რომ ინარჩუნებს სიმყარეს, ამის ერთ-ერთი პირობა სწორედ ის არის, რომ დიდი თანხები არ არის მიმოქცევაში გაშვებული. ამიტომ იმის პირდაპირ თქმა, რომ პენსიები და ხელფასები უნდა გაიზარდოს, საშიშია. ამას ისეთი უკუეფექტები მოსდევს, ხვალ და ზეგ ისევ მთავრობას მიადგებიან, შენ ხომ იცოდი, რომ ასე მოხდებოდა და რატომ გადადგი ეს ნაბიჯიო.

— ხვალ და ზეგ შესაძლოა, ისედაც მიადგნენ მთავრობას, თუკი დასაქმებულთა მასობრივი გაყრა დაიწყება რეორგანიზაცია-რესტრუქტურისაციის მოტივით. შესაძლოა, სამართლებრივ აქციების წინაშე აღმოვჩნდეთ?

— იცით, რაშია საქმე? სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკა ისეთია, რომ განვითარებულ ქვეყნებსაც უჭირთ რისკების გადატანა. ამ დროს კი განვითარებულ ქვეყნებში ადამიანების რამდენიმე თაობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრობს და იქაურ ოჯახებს გარკვეული დამოკიდებულება აქვთ რისკის მიმართ, ისინი ცოტა მეტ სიფრთხილეს იჩენენ. მათ იციან, თანხები როგორ გაანაწილონ. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი დამოკიდებულება არ გვაქვს. ამ 30 წლის განმავლობაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ ერთი თაობა გამოვიარეთ. ჩვენი მენარმევიც ჯერ ერთი თაობისანი არიან, მათ ჯერ არ იციან, როგორ დაგეგმონ მომავალი, როგორ გაზარდონ შვილები, რომ მათი ბიზნესი, ვთქვათ, ასი წლის განმავლობაში წარმატებული იყოს. ამიტომ სამსახურიდან გაშვებაც ასე მარტივად არ ხდება. თუ დასაბუთებულად აღიწერა სამუშაო ადგილი, სამუშაოს მოვალეობა, პასუხისმგებლობა, მაშინ ნებისმიერი სამსახურის სამუშაო განაკვეთში შეიძლება არც კი განხორციელდეს ძალიან დიდი ცვლილებები. თუ მაინც მოხდება ამ სახის ცვლილებების შეტანა, ეს ყველაფერი უნდა დასაბუთდეს, თუ რატომ მოხდება შემცირება, ხომ არ არის პარალელში, ხომ არ ხდება ისე, რომ ერთი და იგივე საქმე სამ ადამიანზეა გადაწეული.

— იმისთვის, რომ უბრალო თანამშრომლები არ დაზარალებდნენ, მინისტრებისა და მათი მოადგილეების შტატების შემცირება არ კმარა? ამით არ დაიზოგება თანხები?

— თანხები დაიზოგება იმით, რომ, ელემენტარულად, 14 მინისტრის ნაცვლად უკვე 10 მინისტრი დარჩება, მათი მოადგილეების რაოდენობაც შემცირდება. ამას ემატება მინისტრებისა და მათი მოადგილეების ავტომობილებით მომსახურების ხარჯები, ბენზინის თანხა, ავტომობილების შეკეთება, შენობები, შენობის გაგრილება, დათბობა და ა.შ. ცხადია, ამით დიდი თანხები დაიზოგება.

— ბიუროკრატული აპარატის შემცირების ხარჯზე თქვენ მლელვარებას არ მოელოთ?

— არა მგონია, მლელვარება მოხდეს. ძალიან დიდი ცვლილებები, შტატების 50%-ით შემცირება არ არის მოსალოდნელი. ზოგადად, საკუთარი ფირმაც რომ გვკონდეს, იქაც არ ვართ დაზღუდული, რომ ის ფირმა ბაზარზე დარჩება, თუკი დღე-ღალამ არ ვიფიქრეთ, როგორ განვაავითაროთ ჩვენი ფირმა.

მანანა ნოზაძე

## გაზასთან, სადაც ავღანეთში საქართველოს თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა, ჭურვები ჩამოვარდა

თავდაცვის მინისტრმა ავღანეთში ვიზიტი ბაზა „კუნდუზზე“ IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეულის მონახულებით დაიწყო. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელები „კუნდუზზე“ დისლოცირებულ ქართველ მშვიდობისმყოფელებს შესვდნენ და ადგილზე არსებული მდგომარეობა პირადად მოისმინეს. IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეული, ბაზა „კუნდუზზე“ ორკვირიანი როტაციის პრინციპით ბაზის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ ავღანეთში, ბაზა „კუნდუზზე“ ქართული ოცეულის მონახულების შემდეგ, ბაზის მიმართულებით ორი არაპირდაპირი გასროლა განხორციელდა. ჭურვები ბაზის სიახლოვეს ჩამოვარდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საბედნი-

ეროდ არავინ დაშავებულა. ბაზა „კუნდუზზე“ დისლოცირებული IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის ოცეული მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას განაგრძობს. თავდაცვის მინისტრი ბაზა „კუნდუზზე“ გერმანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

ბაზა „კუნდუზზე“ ვიზიტის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა მზარ-ი-შარიფში, ბაზა „მარმალზე“ გადაინაცვლა, სადაც IV მექანიზებული ბრიგადის სწრაფი რეაგირების ასეულის პირად შემადგენლობასთან შეხვედრა გამართა. ლევან იზორიამ სამხედროებს სიტყვით მიმართა, მათ მისიის წარმატებით დასრულება და საქართველოში მშვიდობიანი დაბრუნება უსურვა.



მოგვიანებით კი, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ჩრდილოეთ სარდლობის მეთაურთან, ბრიგადის გენერალ ვოლფ-იურგენ შთალთან შეხვედრა გამართეს. საუბარი გერმანიასა და საქართველოს შორის ორმხრივ თანამშრომლობას შეეხო, ხაზი გაესვა ქართველი და გერმანელი სამხედროების სამშვიდობო მისიაში ერთობლივ მსახურს.



**უინსტონ ჩერჩილმა** თქვა: „პოლიტიკოსს სჭირდება უნარი, იწინასწარმეტყველოს, თუ რა შეიძლება მოხდეს ხვალ, შემდეგ კვირას, შემდეგ თვეს, ან, შემდეგ წელს და კიდევ ერთი უნარი, მომავალში იმის ასახსნელად, თუ რატომ არ მოხდა ეს ყოველივე“.

წინასწარმეტყველებაში გარდევნა გვაქვს – ჩვენი პოლიტიკოსები ათწლეულების მიღმა იყურებიან. აი, ახსნის უნარი კი...

სულ ცოტა ხნის წინათ გადადგა (გადაყენეს) პრემიერი, სცადა აეხსნა მიზეზი, სხვებმაც სცადეს – ვერ გავიგეთ, ხალხთან ურთიერთობის უნარი არ აღმოაჩნდათ. ამასობაში ახალი წინასწარმეტყველებები წამოგვეწია. რა მოხდება, არ ვიცით და აღმოაჩნდება თუ არა ახალს „კიდევ ერთი უნარი, მომავალში იმის ასახსნელად, თუ რატომ არ მოხდა ეს ყოველივე“ – არც ეს



შეიძლება, ვიცოდეთ, რადგან არც ჩვენ გვაქვს უნარი მოვითხოვოთ, ვაიძულოთ.

ეს (არც კი) სამილიონიანი ქვეყანა ახლაც ცვლილებების მოლოდინშია, რომ ხორავას ქუჩის ტრაგედია არ განმეორდება, რომ ბანკირები მოსახლეობას არ გაყვლევენ, რომ ქვეყანას ეყოლება პრაგმატული ხელისუფლება, რომ ოპოზიციის მხოლოდ საფრთხოვლა აღარ იქნება...

რაც შეეხება ხელისუფლებას, მის ირგვლივ მხოლოდ პასუხგაუცემელი კითხვებია – რატომ გადადგა კვირიკაშვილი? ვინ მართავს პოლიტიკურ პროცესებს? გაჩნდება თუ არა ქვეყანაში პასუხისმგებელიანი ოპოზიცია? რა მოხდება ხვალ, შემდეგ კვირას, შემდეგ თვეს, ან, შემდეგ წელს? – პასუხებს, ლოგიკის დახმარებით, ფაქტებში ვეძებთ.

ეს არის ამ ინტერვიუს მიზანიც, რომელიც ანალიტიკოს ხატიუნა ლაბაზიძისთან ჩავეწერეთ. (იმაჟდათა შემოკლებით)



## „უპრესტეიჯიურო აკონომიკური ზრდის აღიარებით, ბასტაძემ კომრიკაშვილის გაშვების მთავარი პერსონააჲაჲ“



– მამუკა ბასტაძის გამინისტრებამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია მის გაპრემიერებაზე. ბასტაძის აქტიურობა სოციალურ ქსელში; ინიციატივები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, სხვა უწყებების პრეროგატივა უფრო იყო ვიდრე ფინანსთა სამინისტროს; დაპირისპირება კვირიკაშვილის გუნდსა და პარლამენტის თავმჯდომარის გუნდს შორის და, რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკაში – ეს ყველაფერი მიაჩნებოდა იმაზე, რომ გიორგი კვირიკაშვილის პოლიტიკური ბედი დიდი ხნის წინათ იყო განსაზღვრული. ალბათ, არც ჯინის ინდექსის გაზრდა გამოდგება კვირიკაშვილის გადაყენების არგუმენტად, ვინაიდან ქვეყანაში სოციალური ფონის გაუარესებაზე მაჩვენებლებს სისტემატურად აქვეყნებდა სტატისტიკის სამსახური. რაც შეეხება საპროტესტო შეცდომებს, ფაქტია, მან კატალიზატორის როლი შეასრულა მოცემულ ვითარებაში. ამდენად, რას თვლით მთავარ მიზეზად, რის გამოც კვირიკაშვილი ჩამოაშორეს მთავრობას, იყო თუ არა ეს პრემიერის ირგვლივ გავლენიანი ფინანსური ჯგუფების, მობილიზების მცდელობა, რაც ბიძინა ივანიშვილის ალტერნატივად შეიძლება ჩამოყალიბებულიყო? და, რაც მნიშვნელოვანია, ივანიშვილზე რომ არაფერი ვთქვათ, იქნებოდა თუ არა ეს საფრთხე ქვეყნისთვის?

– ალტერნატიული ფინანსური ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკას დააფინანსებენ, სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყანაში, მაგრამ ისეთები, რომლებიც პოლიტიკურ იდეაში დებენ ფულს და არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესინტერესების ლობირებაში. სხვაგვარად პოლიტიკური სპექტრი ვერ განვითარდება. ამერიკამ ლობიზში საკანონმდებლო ჩარჩოებში მოაქცია, როცა სხვა ვერაფერი მოუხერხა.

აქ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკითხი: იყო თუ არა ანაკლიის პორტის გარშემო დატრიალებული ვნებათაღელვა, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო კვირიკაშვილის თანამდებობიდან გადაყენებისა, იდეოლოგიური არჩევანი. როგორც ცნობილია, ანაკლიის პორტის მიმართ ინტერესი ჰქონდათ არა მხოლოდ ამერიკულ, არამედ ჩინურ-რუსულ კომპანიებსაც. შეიძლება თუ არა ვიგულისხმოთ მამუკა ხაზარაძის უკან ამერიკული ინტერესი, რომ ანაკლიის პორტი არ დაეთმოთ ჩინელებისთვის, რათა ჩინელებს არ ჰქონოდათ „საკუთარი“ პორტი შავი ზღვის აკვატორიაში, თუ ეს მხოლოდ კარგად შეფუთული ლეგენდაა? ასე რომ, საინტერესო იქნება დავაკვირდეთ კვირიკაშვილის წასვლის შემდეგ ანაკლიის პორტის მომავალს. ახალმა პრემიერმა კი დადო პირობა, რომ პორტის მშენებლობა გაგრძელდება, მაგრამ ვისი ხელით და ვისი მეშპატრონობით ეს, ჯერ, ალბათ, თავდაც არ იცის.

კვირიკაშვილის გადაყენების ისტორიაში

ცხადი მხოლოდ ის არის, რომ მისი თანამდებობიდან წასვლის მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემები არ ყოფილა. როგორც ახალმა პრემიერმა განაცხადა, თურმე კვირიკაშვილის წასვლის წინა თვეს ქვეყანაში, „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა – 7,6%.

ისე, ბასტაძემ ის პიარი რომ მოიკითხოს, ვინც მას ამ ინფორმაციის საზეიმოდ გაუღერება ურჩია, არ უნდა? ახალმა პრემიერმა ამ ინფორმაციის სადღესასწაულოდ გასაჯაროებით კვირიკაშვილის გამშვების და მისი თანამდებობაზე დამსმელის მთავარი ვერსია ააყირავა, რის თანახმადაც კვირიკაშვილი თანამდებობიდან ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებისთვის გადააყენეს. ასე რომ, ბასტაძეს, მომავალში მეტი წინდახედულება მართებს, რათა ბიძინა ივანიშვილი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდოს. სხვა საქმეა, ეკონომიკური ზრდის ეს ციფრი რამდენად რეალურია და მოსახლეობის მდგომარეობაზე აისახება თუ არა.

– პოლიტიკის გასაღები, როგორც წესი, ეკონომიკაში დევს. თუ ანაკლიის პორტის ვერსიას გავყევებით, გამოდის, კვირიკაშვილის თანამდებობიდან წასვლა მას არ ათავისუფლებს იმ პასუხისმგებლობისგან, რაც დამკვეთების მიმართ ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ კვირიკაშვილი პოლიტიკაში ისევ ვიხილოთ, ოღონდ ბარიკადების მეორე მხარეს?

– რაც შეეხება თავად კვირიკაშვილის სავარაუდო პოლიტიკურ მომავალს, რაზეც დღეს ბევრს საუბრობენ: აქ ორი მთავარი კითხვაა: პირველი – რა აქვს შესაბამისებელი კვირიკაშვილის ხალხისთვის – რომ ის მზად არის ივანიშვილს ებრძოლოს? და ვისთან ერთად, ანუ რა პოლიტიკურ კომბინაციაში? სურს კი თავად კვირიკაშვილს ეს? მეექვსეა, ამ ეტაპზე მაინც. და მეორე კითხვა, უფრო მთავარი: რამდენად დაინტერესებთ ფინანსურ ჯგუფებს კვირიკაშვილის, როგორც ოპოზიციური ლიდერის დაფინანსება? და მზად არიან თუ არა საქართველოში ჩამოყალიბებული მსხვილი ფინანსური ჯგუფები ივანიშვილს ღია ბრძოლა გამოუცხადონ? უღირსი კი?

და, საერთოდ, საქართველოში არსებულ მსხვილი ფინანსური ჯგუფები, მხოლოდ იმ შემთხვევაში იფიქრებენ ოპოზიციური მოძრაობის დაფინანსებაზე, თუ მათ ივანიშვილი საკუთარი ინტერესების დაცვის სხვა გზას არ დაუტოვებს. ივანიშვილს კი ბიზნესთან ურთიერთობაში ეს ზღვარი ჯერ არ გადაულახავს.

თუმცა ისიც ცხადია, რომ კვირიკაშვილის წასვლის შემდეგაც „ოცნება“ მონოლითური ველარ გახდება – ხელისუფლების შიგნით აშკარად რჩებიან სხვადასხვა ჯგუფები, რომლებმაც ივანიშვილის პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნების შემდეგ მხოლოდ დროებით დაიოკეს ამბიციები. თუმცა, ადრეც მიმანდა და ახლაც იმავეს ვიტყვი: შიდა კონკურენციაში ცუდი არაფერია, თუ ის ჯანსაღი კონკურენციის, ახალი იდეებისა და საინტერესო ინიციატივების წინაპირობად იქცევა, ოღონდ არა მხოლოდ მეტი ძალაუფლების მოპოვების კუთხით.

– კვირიკაშვილი დასავლეთისთვის მისაღები ფიგურა იყო და მისმა გადაყენებამ უარყოფითი გამოხმაურება პოვა. მართალია, ეს არ ყოფილა სახელმწიფო დონეზე გაკეთებული განცხადებები, მაგრამ იმ ფონზე, როცა ოპოზიცია დასავლეთში მკაფიო „მესიჯებს“ გზავნის ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნულ მმართველობაზე, როცა ქვეყანაში ოპოზიციური ველი განმედილია, როცა ხელისუფლებას, პრაქტიკულად, კონკურენტი არ ჰყავს, შესაძლებლად მიგაჩნიათ დასავლეთი უფრო შორს წავიდეს და მისი ინტერესის სფეროში მოექცეს ქვეყანაში ახალი ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბება?

– შეიძლება ითქვას, რომ კვირიკაშვილის გადაყენების მიზანშეწონილობის თაობაზე კითხვები ქვეყნის შიგნით კი არა, ქვეყნის გარეთ გაჩნდა. სხვადასხვა ინფორმაციით, დასავლეთის ქვეყნების მთავრობები, რომლებიც საკუთარი არეული და გაპრობლემებული საგარეო პოლიტიკის გამო, თითქოს ნაკლებად უნდა იცოდნენ საქარველოსთვის, ინტერესდებიან, ხომ არ გამოიწვევს კვირიკაშვილის

გადაყენება ქვეყნის საგარეო კურსის ცვლას. ეს კითხვა გააჩნია იმან, რომ ბასტაძის მთავრობაში, დღეის მდგომარეობით, მათ არ ჰყავთ ამერიკასთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე ადამიანი, ანუ დასავლეთისთვის და ამერიკისთვის ყველა უცხო სხეულია, არა „ამერიკული“ წარსულით, თავად პრემიერი კი – რუსული განათლებით. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ მოუწია ბიძინა ივანიშვილს საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებთან გაფართოებული შეხვედრა, რასაც, როგორც ინფორმაცია ვრცელდება, არა ახალი პრემიერი ან საგარეო საქმეთა მინისტრი დაესწრო, არამედ პარლამენტის საგარეო პოლიტიკური გუნდიც.

– საგრძნობლად გააქტიურდა „ნაციონალური მოძრაობა“, ალბათ, თავად უკეთ იციან, რომ ქვეყნის სათავეში მათი დაბრუნება უტოპიაა. ოპოზიციას გაერთიანებას სთავაზობენ, მაგრამ ეს მხოლოდ, დროებითი, ტექნიკური საშუალებაა მათთვის პოლიტიკურ ველზე საბრძოლველად. ამ შემთხვევაში, სამუხაროდ თუ საბედნიეროდ, ოპოზიციის არც დანარჩენი ნაწილს ესინჯება პულის, მაგრამ, თეორიულად, „ნაციონალებმა“ შედეგს რომც მიაღწიონ და ქვეყანა არიონ, თავად რას იგებენ, მთავარი ოპოზიციური ძალის ადგილს? ყველაფერი ეს, მხოლოდ „ვერობული საქართველოს“ დაძირვის მცდელობაა? ჩემი მთავარი კითხვა იმაში მდგომარეობს – ხომ არ დაინახეს „ნაციონალებმა“ საფრთხე, რომ ქვეყანაში მხოლოდ ორი ძალის, „ოცნების“ და „ვერობული საქართველოს“ დამკვიდრების მცდელობა მიმდინარეობს? ეს ეჭვები საგამოძიებო კომისიაში მათთვის უპირატესობის მიცემაზე გააძლიერა.

– სულ მცირე, 2020-ისთვის „ნაციონალებს“ არც ერთ კონფიგურაციაში ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი არა აქვთ, იმიტომ, რომ ხალხს დღემდე მათი უფრო ეშინია, ვიდრე ხელისუფლების. მოკლევადიან პერსპექტივაში „ვერობული საქართველოს“ იმიჯიც დამოკიდებულია საპარლამენტო კომისიაზე, რომელიც საარალიძის საქმეს იძიებს, რაც მათი 2020 წლის პარლამენტში მოხვედრის შანსებს ზრდის, თუმცა არ მგონია, რომ მათ შეძლონ და შეინარჩუნონ მთავარი ოპოზიციური ძალის თუ ძალების იმიჯი 2024-ისთვის, რადგან ისინი რადიკალური იმიჯური, იდეოლოგიური და რესურსული განახლების აუცილებლობას ვერ გრძნობენ.

საპრეზიდენტო არჩევნების მერე უფრო გამოჩნდება ახალი პოლიტიკური კომბინაციები, შეიძლება, გააქტიურდნენ ცალკეულ ან ერთად ცალკეული პოლიტიკური ფიგურები: უსუფაშვილი, ელისაშვილი, ვნახოთ, რას იზამს მარგველაშვილი და ა.შ. შესაძლოა, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზრდული მემარცხენე ძალებიც უპრობლემოდ ფიგურებთან ან ფიგურების გარეშე. ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა საზოგადოებრივი განწყობები მზად არის ახალი პოლიტიკური ლიდერების მისაღებად.

ჩვენი პრობლემა ისიც არის, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე ჩვენ გამოცვადათ პოლიტიკური პარტიების მხოლოდ ერთი მოდელი – ერთი ქარიზმატული ლიდერი – ორთქლმავლით, რომელსაც შეეძლო საზოგადოების განწყობების ხელში აყვანა. დღეს ასეთი ლიდერი არ ჩანს, რაც ჩვენი უიმედობის მთავარი წყაროა. არ გამოვირცხავ, რომ ვდგევართ ახალი პოლიტიკური პარადიგმის წინაშე, როცა რაოდენობა გადავა ხარისხში, ანუ რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი შექმნის იმ მუხტს, რასაც ადრე ერთი ქმნიდა. ეს ქვეყნის პროგრესისთვის, სტაბილური განვითარებისთვის, პოლიტიკური კულტურის ზრდისთვის, პოლიტიკური კონკურენციის განვითარებათვის უაღრესად დადებითი იქნება, რაც დაამთავრებს მესიანიზმის და უმწიფრობის ხანას ქართულ პოლიტიკაში. იმედია, რომ პოლიტიკური სტაგნაციის ხანიდან მალე გამოვალთ.

როზი ჯღამაია.

## წულუკიანი მთავრობის შემაღლებლობაში რჩება

„კურნიმის“ ინფორმაციით, მთავრობის ახალმა მეთაურმა იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის თანამდებობაზე დატოვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება უკვე მიიღო. „რუსთავი 2-ის“ ცნობით, საგარეოაღმოსავლეთო უწყებების მთავრობის ახალ შემაღლებლობაშიც იუსტიციის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს. სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი კახა კალაძემ გააკეთა. „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის თქმით, პრემიერ მამუკა ბასტაძეს მინისტრობის სხვადასხვა კანდიდატთან კონსულტაციები ჰქონდა, თუმცა კახა კალაძემ არ დააკონკრეტა, ვინ დარჩება მთავრობის ახალ შემაღლებლობაში.



„უმრავლესობაში კონსულტაციები იყო, პრემიერს ჰქონდა რამდენიმე შეხვედრა, სადაც მოხდა მსჯელობა სამინისტროების გაერთიანებასთან დაკავშირებით, კანდიდატებთან დაკავშირებით. უახლოეს დღეებში წარმოადგენილი იქნება, შემდეგ კანონის შესაბამისად, ალბათ, მოხდება კომიტეტებში მოსმენა, კითხვების დასმა, შემდეგ უმრავლესობა-უმცირესობა, შემდეგ უკვე პარლამენტი დაამტკიცებს ახალ მთავრობას. კონკრეტულად თავს შევიკავებ, თავად პრემიერი ისაუბრებს ამაზე“, – განაცხადა კახა კალაძემ.



# შეპარდნაძე ნაპილა და... ღარჩა!

„ოთხი წლის წინათ, 2014 წლის 7 ივლისს, გარდაიცვალა ედუარდ შევარდნაძე, დამოუკიდებელი საქართველოს მეორე პრეზიდენტი. ის ახლა ისტორიის კუთვნილებას და მისი მოღვაწეობის ობიექტური და საფუძვლიანი შეფასების მომენტი ჯერ კიდევ არ დამდგარა.

დრო არის საჭირო, დრო, რომელიც ყველაფერს და ყველას, როგორც წესი, თავის დამსახურებულ ადგილს მიუჩენს.

მანამდე კი, ვიხსენებ შევარდნაძის „ნასვლას“, რაც „რეპორტიორმა“ სულ პატარა წერილით და მრავლისმეტყველი ფოტოთი აღნიშნა. ასევე, „რეპორტიორის“ მეგობრებს ვურჩევ, ნახონ „ნეო-სტუდიაში“ შექმნილი ფილმი – „ნამი... ნამება... ნამიერება“. ღირს ამ ფილმის ნახვა.

რაც შეეხება ამ ფოტოს, მას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. იგი კრწანისის რეზიდენციაშია გადაღებული, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე...

ინტერვიუ დავამთავრეთ. შეუძლოდ მყოფმა მასპინძელმა არ უღალატა ჩვენს და კარებამდე მაინც მოგვაცილა, გამოგვმშვიდობა, შეტრიალდა და... თემაც მოულოდნელად დაიბადა: „შევარდნაძე მიდის!“

ამ კადრს პროფესიონალი კაცი ხელიდან არ გაუშვებდა. ჟურნალისტი გიორგი მამაცაშვილი ფოტოაპარატთან განუყრელად „მეგობრობს“. ჰოდა, „ვითარების“ ეს მოულოდნელი საჩუქარი მამაცაშვილმა პროფესიულად გამოიყენა და შევარდნაძის „ნასვლის“ თემა ამ კადრით განივთქმა...

მაშინ არ გამოვაქვეყნეთ, არ გვინდოდა ამ კადრისთვის სიმბოლური დატვირთვა მიგვეცა. მერე კი, „რეპორტიორის“ საიტზე იხილა მზის სინათლე ამ „მეტყველმა“ ფოტომ.

...შევარდნაძისთვის „ნასვლა“ ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო. სხვათა შორის... მოსვლაც!

და მისი, როგორც პოლიტიკოსის „ნასვლა-მოსვლა“ ყოველთვის საკუთარ სურვილთან არ იყო დაკავშირებული. „ვითარება“ ნებისთი თუ უნებლიეთ ქმნიდა არა მარტო შესაბამის ატმოსფეროს, არამედ

„ნასვლა-გაშვების“ ფორმა-მეთოდსაც, ყველა ეპოქა თავისი დამახასიათებელი მეტოდიით იშორებდა თავიდან ამ კაცს; ზოგჯერ, თავად ინტუიცია აიძულებდა, დაესწრო მოვლენისათვის, როცა იძულებით უნდოდათ „გაშვება“, თანაც ისე, ეფექტიანად დგამდა ამ „სპექტაკლს“ (გავიხსენოთ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრობიდან მისი გადადგომა), რომ... პოლიტიკურ სცენაზე მისი დაბრუნება გარდუვალი იყო.

დაბრუნების ფორმაც ეპოქების შესატყვისი(!) გახლდათ და... ყველაფერი იწყებოდა თავიდან. მაგრამ, ბოლო ნასვლამ იძულებულმა, სხვის მიერ დადგმულმა „სპექტაკლმა“ ტრადიცია დაარღვია. უღალატეს არა მარტო მის მიერ წამოჩენილ „მა“, „ბიჭებმა“, არამედ საკუთარმა, ლეგენდადქცეულმა ინტუიციამაც (რომელიც, ალბათ, მოადუნა ასაკმა და თვითდაჯერებულიობამ) და „ძველ-ახალმა“ მეგობრებმა (რომელთა ერთგულება-მხარდაჭერას ცოტა გადაჭარბებულად აფასებდა და რომლებსთვისაც გეოპოლიტიკური თუ სხვა „ინტერესები“ ყოველთვის უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ადამიანური ურთიერთობები). ერთი სიტყვით, აქტიური პოლიტიკიდან მის საბოლოოდ გასაშვებად, „ვარდების რევოლუციის“ მოწყობა გახდა საჭირო.

მოვა დრო, ფარდა აეხდება ყველა საიდუმლოს, რომლებიც დაკავშირებულია არა მარტო ამ სახელმწიფო გადატრიალებასთან, რომელიც შეიფუთა უფრო კეთილშობილური ჟღერადობის „ვარდების რევოლუციის“ სახელით, არამედ საქართველოს უახლეს, ბოლო 20-30 წლის მანძილზე განვითარებულ ტრადიკულ მოვლენებთან (სამხედრო პულტი, სამოქალაქო ომი, პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური მკვლელობები და სხვ.), ასევე, „ფარდის ახდასთან“ პირდაპირ იქნება დაკავშირებული ობიექტურობა(!) და სიღრმე(!) შევარდნაძის, როგორც პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობის შეფასებაც. ბუნებრივია, ამ შეფასებაში იქნება ბევრი დადებითიც და არანაკლები ნეგატივიც.



ეს გარდუვალია!

ისევე, როგორც გარდუვალია ქართული პოლიტიკური (და არა მარტო) ტრადიცია ყველა და ყველაფერი ამოხსნაროთ ტალახში... მეოცე საუკუნის არც ერთი პოლიტიკური ლიდერი თუ თვალსაჩინო მოღვაწე არ დარჩენილა შეურაცხყოფილი „იარლიყის“ გარეშე. არც ერთი! გამოწვევისი, რა თქმა უნდა, არც შევარდნაძეა.

„ვარდების რევოლუციის“ ბელადებმა და აქტივისტებმა (ისევე, როგორც საზოგადოების სხვადასხვა პოლიტიკური შეფერილობის ჯგუფებმა) „მეღელ ტოტიას“ არ დააკლეს ლანძღვა-გინება, ქილიკი (რაც არც დღესაა იშვიათობა), მაგრამ... ვერც აკაკის „გამზრდელი“ წააკითხეს განმეორებით და ვერც მისი გაჩუმება მოახერხეს. ის ყოველკვირეულად ესაუბრებოდა და ინტერესებულ საზოგადოებას გაზეთ „ასავალ-დასავალს“ ფურცლებიდან, რამდენიმე წიგნიც გამოუშვა, უმასპინძლა ბევრ უცხოელ პოლიტიკოსს თუ ჟურნალისტს, რომელთა ინტერესი პენსიაზე მყოფი ამ „პოლიტიკური დინოზავრისადმი“ სიცოცხლის ბოლომდე არ განელეზულა.

მაგრამ, დრო თავისას შეება და... შევარდნაძეც წავიდა! სამუდამოდ!..

მაშინ ბევრს ეწყინა და არ დაიშურა თბილისი სიტყვაც გასაცხილებლად და პატივის მისაგებად ისინიც კი ჩამოვიდნენ, ვინც... განირა! არცთუ ცოტა აფეიოებდა მაშინაც და ახლაც! ეს პროცესი კვლავაც


დიდხანს გაგრძელდება.

პოლიტიკოსების ეს პროცესი უცხო არ არის, როგორც ფრანგები იტყვიან, „სე ლა ვი!“ დიას, მართლაც „ასეთია ცხოვრება“, მით უმეტეს, ისეთი რანგის პოლიტიკოსისთვის, როგორიც „შევი“ იყო: არც ქება, არც ლანძღვა, არც ნეიტრალიტეტი არაფერს შეცვლის! რაც იყო-იყო!

და მიუხედავად არაერთი, მეტ-ნაკლებად სერიოზული ჩავარდნა-შეცდომისა, „მამათელი ბიჭის“ გრძელ და საინტერესო გზაზე იყო ისეთი წარმატებები, რომ მის პიროვნებას, მისი მონაწილეობით გადაჭრილ საერთაშორისო მასშტაბის პრობლემებს, მის სახელთან დაკავშირებულ მსოფლიო მოვლენებს გვერდს ვერ აუღლის ვერც ერთი ობიექტური(!) მკვლევარი. შესასწავლი და გამოსამზერებელი კი ცოტა როდია. მასალაც უამრავი, არქივიც...

და რა გასაკვირია, თუ მეოცე საუკუნის მსოფლიოს, ისევე როგორც კავკასიის რეგიონის ისტორია, ქართული გვარ-სახელის მქონე გამორჩეულ პოლიტიკოსთა შორის სტალინთან, ბერიასთან, გამსახურდიასთან ერთად, უყოყმანოდ დაასახელებს ედუარდ შევარდნაძეს!

**ნუზხარ ფოფხაძე**



## თანამოაზრეთა მორიგი შეხვედრა

ამ დღეებში ტურიზმის აკადემიის საექტო დარბაზში შედგა ასოციაცია „მესხეთის“, საზოგადოება „გაგამწვანოთ თბილისის“ და მექვანიშვილების საგვარეულოს ერთობლივი, გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე განიხილეს საზოგადოება „გაგამწვანოთ თბილისის“ თავმჯდომარის, აკადემიკოს ანზორ კუბატაძის მოხსენება განეული მუშაობის შესახებ და მონაგვის ამოცანები. უკვე დარგული ნერგების, კერძოდ, მუხიანის IV მიკრორაიონში, სკოლა-ლიცეუმის „პრომეთეოსის“ ფართობზე, რუსთავის გზატკეცილზე, დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სიახლოვეს, ცინცაძის და ნუცუბიძის ქუჩებზე, სტუ-ს საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე და მცხეთის რაიონში – სოფელ მისაქციელთან.

სხდომამ მადლიერება გამოხატა ადგილის მერის ზაქარია ენდელაძისადმი, რომლის თანადგომითაც გამწვანდა აღნიშნული ადგილები და კვლავაც პირდება დახმარებას საზოგადოებას.

სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ თბილისის მერიის ხელმძღვანელებმა გამახვილონ ყურადღება საზოგადოება „გაგამწვანოთ თბილისის“ მხარდასაჭერად.

მე, როგორც ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდენტმა, ვისაუბრე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მესხეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ, მესხების ღვანლზე როგორც ბრძოლის ველზე, ასევე ზურგში, სამეურნეო საქმიანობაში. გავიხსენე 9 შვილის დედა ალექსანდრა დალალიშვილი, პედაგოგები ლუბა მელიქიძე-თამაზაშვილი და ლუბა ყულჯანიშვილი, ასევე იმ პერიოდის სკოლის დირექტორი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა ბოჭორიშვილი.


მესხებსა და მექვანიშვილებს შორის გაიმართა იუმორისტული პაექრობა, გაიხსენეს მესხ წინაპართა გამონათქვამი: ღვინო ბოგასა, თევზი ტობასა, წითელი ვაშლი თუ გინდა გაღმა-გამოღმა სწორ გზასა.

ერთ მშვენიერ დღეს მივეჯექი სამუშაო მაგიდას და გამახსენდა გამონათქვამი: „**არსად არ ჩანდა პური**“. ვიფიქრე, დამემადა: „**პურღვინო უდესა და ბოგასა**“. შემდეგ, კიდევ დავამატე – „**მინერალური წყალი, კურორტ ბორჯომსა**“, რითაც ბორჯომი მსოფლიომ გაიცნო. აღნიშნული გამონათქვამი პროფესორმა გივი მერაბიშვილმა და დარგობრივი აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლიანა ხმალაძემ დამსწრე მესხებთან ერთად მოიწონეს.

სხდომას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: ასოციაცია „მესხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა გურამ გუნავამ, სტუ-ის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ნუზხარ შავთვალაძემ, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა უშანგ დალალიშვილმა, აკაკი თამაზაშვილმა, ასევე ასოციაციის ხელმძღვანელებიდან ასმათ აფრიაშაშვილმა და ავთანდილ ყულჯანიშვილმა.

**ამირან მამუკაშვილი,**

ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდენტი, მექვანიშვილების გვარის ხელმძღვანელი და „გაგამწვანოთ თბილისის“ მენეჯერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეროვნული და სოციალური ურთიერთობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.



## „ეკომონალიზი“ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან ერთად იწყებს ახალ პროექტს – „ეკომონადირე“, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის მიერ ქალაქ თბილისის ურბანული ბიომრავალფეროვნების აღწერას ონლაინ პლატფორმის – iNaturalist საშუალებით.

პროექტის ფარგლებში, რომელსაც კონკურსის სახე ექნება, მონაწილეები ერთმანეთს შეეჯიბრებიან ბოტანიკური ბაღის მიერ მიცემული დავალებების შესრულებაში, რომელიც ყოველი თვის დასაწყისში გამოცხადდება „ფეისბუქის“ და iNaturalist პლატფორმის საშუალებით.

iNaturalist ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ონლაინ პლატფორმაა ბუნების მოყვარულთათვის, რომლის საშუალებითაც ადამიანები სწავლობენ გარემომცველ ბიომრავალფეროვნებას და ერთმანეთს ცოდნასა და ინფორმაციას უზიარებენ.

„მიუხედავად იმისა, რომ ამ პლატფორმას რამდენიმე ასეულობით ათასი მომხმარებელი ყავს, საქართველოს მოქალაქეები iNaturalist-ში მცენარეთა აღწერას პირველად შეუერთდებიან ასეთი ორგანიზებული ფორმით. დიდი იმედი მაქვს რომ საზოგადოების აქტიური ჩართულობით დიდალი ინფორმაციის შეგროვებას

შეძლებთ. ამ ეტაპზე პროექტი მოიცავს მხოლოდ თბილისისა და მისი შემოგარენის მცენარეთა მრავალფეროვნებას, თუმცა სამომავლოდ მასშტაბები აუცილებლად გაიზრდება. პროექტი ხელს შეუწყობს თბილისის ურბანული ბიომრავალფეროვნების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, მათი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობის გააზრებას.

პროექტის ფარგლებში საზოგადოებას შეეძლება, წვლილი შეიტანოს თბილისის ურბანული ბიომრავალფეროვნების შესწავლაში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის. მხარეული ვარ, რომ ამ პროექტმა მიიღო კონკურსის სახე და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით გვექნება აქტიური მონაწილეობის გარკვეული პრიზებით ნახალისების შესაძლებლობა“, – განაცხადა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა თამაზ დარჩიძემ.

პროექტის პრეზენტაცია, სასტუმროში „პოლიდეი ინტ“ გაიმართა, სადაც ეროვნული ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლებმა საკონკურსო პირობებსა და მისი განვითარების ეტაპებზე ისაუბრეს. პროექტი 7 ივლისს, 09:00 საათზე დაიწყება და 4 თვე გასტანს.





**მსოფლიო მშვიდობის-მორალური ნორმების, ეროვნულობის, რელიგიის (წაიკითხე ღმერთი) უარყოფელ ნეოლიბერალურ იდეოლოგიასა და პირიქით, ამ ყველაფრის დამცველ ტრადიციული ღირებულებების მიმდევარ კონსერვატიულ იდეოლოგიას შორის მსოფლიო გლობალური დაპირისპირება, გენეზით მათ შორის წლების განმავლობაში მიმდინარე ცივი ომი (თუ ასე თქმა შეიძლება), რომ აშკარად ცხელ, საბედისწეროდ გადაწყვეტ ფაზაში შევიდა, ამას ისიც მოწმობს, რომ ამ ყველაფერმა უკვე საქართველოს მართლმადიდებელ დედაეკლესიაშიც შეაღწია, რასაც თუნდაც ენ. ციხიძის სკანდალიც მოწმობს, მაგრამ ამაზე ქვემოთ...**

როგორც ქართველ საზოგადოებაში, ასევე ეკლესიაშიც, ერთი მხრივ, მცირერიცხოვანი, მაგრამ, სამაგიეროდ, „პროგრესულად მოაზროვნე“ პროდასავლური ნეოლიბერალების, ხოლო, მეორე მხრივ, „საბჭოთა ბნელ წარსულში“ ჩაბრუნებული პრორუსულ ნეოკონთა ფრთები აშკარადაა გამოკვეთილი.

**თუმცა საზოგადოებასა და ეკლესიას შორის არსებულ ამ მსგავსებათა გარდა არსებობს ერთი „უმნიშვნელო“ პარადოქსული განსხვავება: თუ ქართველ საზოგადოებას, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს და აქედან გამომდინარე, ლოგიკით კონსერვატიული იდეოლოგიის მიმდევარია და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მაინც დასავლეთის (წაიკითხე აშშ) მიერ დანიშნული ნეოლიბერალ ქოც-ნაცთა ხელისუფლება მართავს, დღესდღეობით იმავეს ვერ ვიტყვით დედაეკლესიაზე, რომლის წმინდა სინოდში რამდენიმე „მეუფე ყანდურია“ (მეუფე პეტრე, მეუფე გრიგოლი და ა.შ. ძმანნი მათნი, რომლებმაც ამას წინათ ვაშინგტონში „დავერობოვებულებმა“ კაპიტალიუმის ბორცვიდან „ბევრი რამ სხვანაირად დაინახეს“ და გუშინ ანტი-დასავლურად მოჭიკჭიკე მეუფენი დღეს იმაზე აუღურტულდნენ, რომ ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოს ისტორიული მტერია, ხოლო ხლისტების აშშ – საქართველოს გადამრჩენი მოყვარე და სტრატეგიული მოკავშირე). მძიმედ ყოფნის მიუხედავად, ეკლესიის მართვის სადავეები ჩვენს ბრძენ, მსოფლიან პატრიარქს ჯერჯერობით მაინც მტკიცედ უჭირავს!**

თუმცა ეტყობა, ქართველთა სათაყვანებელი და სრულიად კავკასიაში პატივდებული ილიაჲს, განსაკუთრებით ენ. ციხიძის საქმის შემდეგ ხედავს და გრძნობს, თუ რაიმე არ იღონა, ეს „დღესდღეობით“ და „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და ქართული დედაეკლესიის მართვის სადავეებსაც ისევე დაეპატრონებიან ლიბერალური „მეუფე ყანდურნი“, როგორც ეს ენ. მსოფლიო პატრიარქის ორბიტაზე მყოფ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებში მოხდა!

**ამიტომაც, ღვთის ნებით, „დროულად გამოეცხადა“ წმინდა გიორგი, რომელმაც ჩვენს პატრიარქს შთაგონა, რომ მოსაყდრედ მეუფე შიო დაენიშნა, რამაც „მეუფე ყანდურთა“ აშკარა თუ ფარული უკმაყოფილო დრტვინვა გამოიწვია.**

ზემოთ უკვე ორგზის ვახსენეთ ციხიძის სკანდალი, რაც ამ გაუგონარი მზაკვრობის აისბერგის (თუ ასე თქმა შეიძლება) მხოლოდ ხილული ნაწილია და თუ გვინდა, რომ აისბერგის წყალქვეშა, უხილავი ნაწილიც ვიხილოთ, ამისთვის უახლეს ისტორიაში მცირე ექსკურსი მოგვინევს!

**მას შემდეგ, რაც ნეოლიბერალმა ხლისტებმა კათოლიკური და მისი წიაღიდან გასული ენ. პროტესტანტული ეკლესიების გალიბერასტება მოახერხეს, იქამდეც კი, რომ ზოგიერთ მათგანში უკვე ერთნაირსქესიან წყვილებს ჯვარსაც კი წერენ, დასავლეთის (წაიკითხე აშშ) არაფორმალურ, მაგრამ დე ფაქტო მმართველ აგრესიულ ნეოლიბერალთა დღის წესრიგში უკვე მართლმადიდებელი ეკლესიების „რეფორმირების“ საკითხი დადგა და სწორედ ამ იდეას ემსახურებოდა ენ. მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის მიერ მოწვეული ენ. მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც 2016 წლის ივნისში ჩატარდა კუნძულ კრეტაზე!**

რატომ „ე.წ.“ ბართლომეოსის და მსოფლიო კრების მიმართ?

იმიტომ, რომ ის დრო, სამწუხაროდ, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქები

მართლაც მსოფლიო პატრიარქები იყვნენ. ბართლომეოსი მხოლოდ ნომინალურად ითვლება მსოფლიო პატრიარქად, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს მისი რეზიდენცია არა მეჩეთად ქცეულ დიდებულ აია-სოფიის ტაძარში და პოლიტიკური რუკიდან სამუდამოდ გამქრალ კონსტანტინოპოლში, არამედ სტამბოლშია, საიდანაც იგი არა თუ მთელ მართლმადიდებელ სამყაროს მართავს, არამედ „მსოფლიო საპატრიარქოს“ მღვდელმთავრებს ისლამური თურქეთის ქუჩებში ანაფორით გამოსვლაც კი ეკრძალებათ!

**აქედან გამომდინარე, აღარც ის არის დიდი საიდუმლო, რომ თურქეთის ხელისუფლების მკაცრი პატრონატის ქვეშ მყოფი ენ. მსოფლიო პატრიარქი და საპატრიარქო აშშ-ის გარკვეული ნეოლიბერალური წრეებიდან ფინანსდება.**

წინამდებარე წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ გათახსირებულ ნეოლიბერასტთა და ტრადიციონალისტ ნეოკონთა გლობალური დაპირისპირე-

ერებს შორის მშვიდობის, სამართლიანობის, თავისუფლების, ძმობისა და სიყვარულის მისაღწევად, რასობრივი დისკრიმინაციის, ასევე სხვა სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად – საპატრიარქო ჩანანერის „ასევე სხვა სახის დისკრიმინაციის“ ამოღებას მოითხოვდა იმ არგუმენტით, რომ იგი მრავალმხრივი გაგების საშუალებას იძლევა.

**რა, უსაფუძვლო არგუმენტია? „სხვა სახის დისკრიმინაცია“ ხომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებების მიმართ ეკლესიის მხრიდან, როგორც მინიმუმ ლოიალურ დამოკიდებულებას გულისხმობს? იმ ლოიალობიდან, რომლიდანაც ერთი ნაბიჯია ერთნაირსქესიანთა ჯვრის წერამდე. ნაბიჯი, რომელიც უკვე გადადგა რამდენიმე პროტესტანტულმა ეკლესიამ და, აქედან გამომდინარე, სრულიად ლეგიტიმურია საქართველოს უარი მართლმადიდებელი სარწმუნოების გარდა სხვა ეკლესიების ქრისტიანულად მოხსენიებაზე!**

ამ ყველაფერს საქართველოს არა-

# თუ ღმერთი არ არსებობს, გაუიგ ყველაფერი მოსულა!



ბის საცეცხება, საქართველოს დედაეკლესიის წიაღშიც შეაღწია, რამაც ენ. ციხიძის საქმემდე მიგვიყვანა!

**აქედან გამომდინარე ყოველივე შემდეგ თქმულზე დაყრდნობით ისედაც მძიმე სურათის კიდევ უფრო დავამძიმებ იმით, რომ პირდაპირ ვაცხადებ – ენ. მსოფლიო პატრიარქის მიერ 2016 წლის ივნისში კუნძულ კრეტაზე ჩატარებული ენ. წმინდა მსოფლიო კრება, მართლმადიდებელი ეკლესიების ფორუმი კი არა, ფაქტობრივად, მსოფლიო ეკლესიების მწვალებლური შეკრება იყო!**

ზოგადად სწორედ ამიტომ თქვეს მასში მონაწილეობაზე უარი 14-დან 5-მა: ანტიოქიის, სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოსა და ბოლოს მართლმადიდებელ სამყაროში ყველაზე დიდმა და ძლიერმა რუსეთის ავტოკეფალურმა ეკლესიამ და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ კრეტისი თუ მიჩნევის კრეტაზე გამართულ კრებას მსოფლიო კრებად!

რაც შეეხება საქართველოს კრეტაზე წაუსვლელობის კონკრეტულ მიზეზებს: პირველი და უმთავრესი – კრებაზე გადანაცვლებების მიღება უნდა მომხდარიყო არა უბრალო უმრავლესობით, არამედ კონსენსუსით, რაც კრების მონაწილეთა ვეტოს უფლებას ნიშნავდა; „ქორწინების საიდუმლო და მისი დამატკიცებელი მიზეზები“, – ასე ეწოდება დოკუმენტს, რომელშიც საპატრიარქოს მოთხოვნით, უფრო მკაცრად უნდა ფორმულირებულიყო ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიუღებლობა, ამასთან, უნდა გაუქმებულიყო საგამონაკლისო წესი, რომელიც მართლმადიდებელს არამართლმადიდებელზე ქორწინების უფლებას აძლევდა.

**„მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში“** შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „მართლმადიდებელი ეკლესიის წვლილი

სამთავრობო, ენ. მესამე სექტორმა და ლიბერასტმა პოლიტიკოსებმა ერთხმად უწოდეს ადამიანის უფლებების შეზღუდვისკენ მიმართული მოთხოვნები?!

სწორედ კრეტაზე არწასვლის გამო ატეხეს უკმაყოფილო ყოყინი დედაეკლესიაში სხვადასხვა დროს შეგზავნილმა გრიგოლ ბერბიჭაშვილისა და პეტრე ცაავას მსგავსმა „მეუფე ყანდურებმა“, რამაც საბოლოო ჯამში „ციხიძის საქმემდე“ მიგვიყვანა, რომლის დროსაც „რუსთავი-2“-ის შტატიან რესპონდენტად ქცეულმა „მეუფე“ პეტრემ ნილაბი ჩამოიხსნა და შხამსა და გესლს ანთხევდა პირდაპირ ეთერში!..

**საზოგადოებას შევასხენებ, რომ ეს ის პეტრეა, რომელიც სანდრა რულოვსის მოძღვარი იყო, წმინდა ხატების გვერდით უწმინდური სააკაშვილის უზარმაზარი ფოტოები ჰქონდა „დასვენებული“ და რომელიც სადისტ ძმებს – დათა და ზაჩანა ახალაიებს მარტვილის რეზიდენციაში მალაფდა და იქიდანვე გააპარა საზღვარგარეთ და ა.შ. მის მიერ ჩადენილი ავკაცობათა ჩამოთვლის გაგრძელება კიდევ შეიძლება...**

ის, რაც საქართველოს დედაეკლესიაში უკვე მოხდა და შეიძლება მოხდეს, ყველაფერი კრეტაზე არწასვლის გამო ჩვენი ეკლესიისა და პირადად კათოლიკოს-პატრიარქის დასჯის მცდელობაა ენ. მსოფლიო პატრიარქის მიერ – სა-

ზოგადოებას შევასხენებ არამკითხველ ტელემედის მიერ სტამბოლში ჩანერგულ ინტერვიუს, სადაც ბართლომეოსმა აშკარად იმპერატიულ-შეურაცხყოფილი ტონით ჩვენი უწმინდესის მისამართით განაცხადა, რომ მისი არჩასვლა კუნძულ კრეტაზე მართლმადიდებლობის უპატივცემულობა იყო?!

თუმცა, ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, საქართველოს კრეტაზე არწასვლა შინაურმა თუ გარეულმა ლიბერასტებმა, პირველ რიგში, მოსკოვის საპატრიარქოს მხარდაჭერად შეაფასეს და, ალბათ, არც თუ უსაფუძვლოა!..

**ნეოლიბერასტული (წაიკითხე აშშ) ძალების მიერ დაწესებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სანქციებმა, მოლოდინის მიუხედავად, რუსეთის სამხედრო ძლიერებას ვერაფერი დააკლეს და ახლა ბართლომეოსის მეშვეობით რუსეთის ეკლესიის დასუსტებას ცდილობენ, რადგანაც კარგად უწყიათ, რომ პუტინის საერო და პატრიარქ კირილის საეკლესიო ხელისუფლებები ერთი მთელის ორი ნაწილია, ანუ, ჩვენგან განსხვავებით, რუსეთში ერი და ბერი ერთია და ეს საქირქილო კი არა, როგორც ამას ჩვენი რუსოფობი პოლიტიკოსები აკეთებენ, არამე საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითია!**

ჩვენ ვინ რას დაგვაკლებდა და გვაიძულებდა, საქართველოს პარლამენტი და წმინდა სინოდი ერთსულ და ერთხორცნი რომ იყვნენ?..

ბართლომეოსმა განაცხადა, რომ აშშ-მად მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას აპირებს. ამ დაუფარავი ანტირუსული დემარშის მხარდაჭერა აღიარებას ილია მეორისგანაც ითხოვს არა მხოლოდ „მსოფლიო პატრიარქი“, არამედ ქოც-ნაცების ლიბერასტი, რუსოფობი ხელისუფლებაც.

ამ აშკარად ბრიყვული ნაბიჯის გადადგმას ჩვენი ბრძენი პატრიარქი ეტყობა, ნამდვილად არ აპირებს, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მოსკოვის საპატრიარქო დიდი ალბათობით განვეტს საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტულ კავშირს, რაც იმას ნიშნავს, რომ განყდება უკანასკნელი ძაფი, რაც რუსეთთან ჯერ კიდევ გვაკავშირებს და რაც იგივეა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნება მარადიულ ოცნებადვე დარჩება. ანუ, ქიზიყურად თუ ვიტყვით, „ოცნების“ ოცნება საბოლოოდ დაღვეს ჩაილურის წყალს.

**ამ საფრთხის გამოძახილია წმინდა სინოდის ბოლო განჩინება, რომელშიც ბევრი რამაა ყურადსაღები, მაგრამ უმთავრესს გამოვეყოფდი – „წმინდა გიორგის რჩევით“ პატრიარქის მიერ საკუთარ მოსაყდრედ დანიშნული მეუფე შიო, ამავენივე წმინდა სინოდმა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების (რაც უმაღლესი გამორჩეულობაა) უფლებით დააჯილდოვა და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ დაინიშნა!**

აი, ამ უკანასკნელმა აუროა გონება თეოლოგებს – ტაძრის მოსაყდრე, ასეთი დეფინიცია არ არსებობსო!

**ალბათ, ასეც არის, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ თეოლოგია არაფერ შუაშია. იქიდან გამომდინარე, რომ წმინდა სინოდის უწმინდური „მეუფე ყანდურნი“, როგორც აფთრები, ისე ელოდებიან პატრიარქის სიკვდილს, რათა ხელში ჩაიგდონ ეკლესიის მმართველობა და ეს ერთადერთი, ეროვნულობის დამცველი ინსტიტუტიც ოკეანეს გაღმელ პატრონთა საამებლად გააღმეს რასობრივად, რაც მოკლე ხანში ქართველი ერის, როგორც კულტურული ფენომენის სიკვდილს გამოიწვევს, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეობა პატრიარქის მიერ მეუფე შიოს საკუთარ მეშვედრედ გამოცხადებას ნიშნავს!**

**დავით მხაიძე**



P.S. ზემოთ „ალბათ, არც თუ უსაფუძვლოდ“–მეთქი და ახლა ყოველგვარი ალბათობის გარეშე ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ ვიტყვი: დიახ, ჩვენი დედაეკლესია რუსეთისკენ იყურება, რადგანაც დღეს პრორუსულობა საქართველოს გადარჩენას ნიშნავს იმ ომში, რომელიც ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. ომში, რომელშიც ლიბერასტების გამარჯვება მთელი კულტურული კაცობრიობის დაღუპვას ნიშნავს!

**ერთადერთი გადაუღალავი წინაღობა ამ ომში მართლმადიდებელი რუსეთია, რომელსაც სატანისტი ლიბერალები ებრძვიან, რომელთა იდეოლოგია დოსტოევსკის მიხედვით ასე უღერს: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი შეიძლება“, გნებავთ, ყველაფერი მოსულა! არჩევანი შენზეა „ჩემო კარგო ქვეყანაზე“...**

**დ.ა.**



# აფხაზური „კუნძული“ რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა!

**„აფხაზეთმა  
ჩათვალა,  
რომ რუსეთს  
აღარ  
სჭირდება და  
გვეცლება“**



„ამ დღეებში აფხაზეთიდან დაბრუნებული მგობარმა ჩვეული თბილისე-დებულისა და საზღვარსა სუვენიერების ნაცვალად, შემაშფოთებელი პროგნოზი ჩამომიტანა: აფხაზეთს ვკარგავთო. ერთი შეხედვით, დაუჯერებლად ჟღერს, თუმცა ეს, სამწუხაროდ, ასეა. მიზეზები და გარემოებები, პირადი და ეროვნული, ასევე გარე ზემოქმედების ფაქტორები შავი პლანეტების აღლუმივით დაემთხვა ერთმანეთს და მხოლოდ გააძაფრა ისედაც მძლავრი კრიზისი, რომელშიც რესპუბლიკა ბოლო პერიოდში აღმოჩნდა.

მთავარი მიზეზი, ცხადია, ეკონომიკურია: დღეს აფხაზეთს სასონარკვეთამდე არ ჰყოფნის ფული — არც საცხოვრებლად, არც განვითარებისთვის. საყოფაცხოვრებო დონეზე ეს პრაქტიკულად ცარიელი კაფეების, ფაცხების, სანაპირო ზოლის რესტორნების სახითაც შეიმჩნევა. სადაც ადრე ხმაურიანი სუფრები წვრილებდა, დღეს ქარი იშვიათი კლიენტების დაცარიელებულ ჯიბეებს ბერავს.

რად დასამალი — აფხაზეთი სისხლხორციელად არის დამოკიდებული რუსეთის ფინანსურ დახმარებაზე. უპირველესად, ომმა რესპუბლიკა ძალიან „ათრია“: განადგურებულია პრაქტიკულად ყველა სამრეწველო საწარმო, სანატორიუმები, ჯანდაცვისა და დასასვენებელი ობიექტები, საცხოვრებელი ფონდი, გზები და ა.შ. მეორეც, სანამ აფხაზეთი მსოფლიო თანამეგობრობის მიერ არ არის აღიარებული, მასში ინვესტირებას არავინ გარისკავს.

რაულ ხაჯიმბას ორ წინამორბედს — სერგეი ბაღაფშასა და ალექსანდრე ანკვაზს ასე არ უჭირდათ: გარდა იმისა, რომ იმ პერიოდში სოხუმს სოციალური სფეროსთვის ყოველწლიურად 5 მლრდ-მდე რუბლი ერიცხებოდა, რესპუბლიკა არცთუ მცირე თანხებს გამოიმუშავებდა ტურისტული ნაკადის, ასევე ოლიმპიური ობიექტებისა და სამხედრო ბაზების მოსახლეობის საჭირო სამშენებლო მასალების მიწოდების ხარჯზე. თუმცა 2014 წლის შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. სამშენებლო ბუმიც დასრულდა, ტურისტებისთვის ყირიმის გახსნასთან ერთად კი აფხაზეთის კურორტების პოპულარობა მკვეთრად შემცირდა. და მიუხედავად იმისა, რომ სამოკავშირეო და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ორმხრივი შეთანხმება, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა და რაულ ხაჯიმბამ მოაწერეს ხელი, თითქოს აძლევდა აფხაზეთს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სტანდარტების ამაღლების გარანტიებს, ბევრი რამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. აგერ, მაგალითად: 2016 წლისთვის აფხაზეთისთვის თითქმის 8 მლრდ რუბლის გამოყოფა იყო დაგეგმილი, შემდეგ ეს ციფრი ორჯერ — 4 მლრდ-მდე შემცირდა და, როგორც რესპუბლიკაში ირწმუნებიან, ამ შემცირებული თანხის დიდ ნაწილსაც აფხაზეთში ამ დრომდე არ ჩა-

ულწევია. იმავე 2016 წელს დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამით გათვალისწინებული 3,7-მილიარდიანი დახმარებიდან კი აფხაზეთს მხოლოდ 180 მილიონი გადაერიცხა. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ, როდესაც აფხაზეთის საბანკო სისტემის რევიზია ჩაატარეს, გაირკვა, რომ თურმე, რესპუბლიკაში ფული არც არის — წინა პრეზიდენტების დროს იგი ქვეყნიდან გაიტანეს. მოკლედ, როგორც გინდა, ისე იცხოვრე.

მართალია, რაულ ხაჯიმბამ აქტიურობა

ამას ემატება საგარეო ფაქტორიც — საქართველოს სისტემური მუშაობა აფხაზეთის, ასე ვთქვათ, მოსათვინიერებლად. თან, საქართველოს ხშირად ამისთვის დიდად არც არაფრის კეთება უნევს, იგი უბრალოდ წინააღმდეგობებზე თამაშობს: რუსეთი თავის ტერიტორიაზე აფხაზურ პროდუქციას არ უშვებს? — საქართველო მყისვე აცხადებს, რომ სიამოვნებით სრულად შეისყიდის ყველაფერს — თხილსაც, მანდარინსაც, თაფლსაც და ა.შ., თანაც მშვენიერ ფასად; რუსეთს ფული არა აქვს აფხაზი მენარმის



**დღევანდელი ქართული ჯარი აღარ არის ის, რომელმაც 1992 წელს სოხუმსა და გაგრას შეუტია, ისეთიც კი აღარ არის, როგორიც 2008 წლის ომში ვიხილეთ. დღეს ეს ნატოელი ინსტრუქტორების მიერ კარგად გაწვრთნილი და შეირაღებული 37 000-იანი საბრძოლო მანქანაა, რომელსაც ძალუძს, თავისუფლად შეუტოს სოხუმს. თანაც ამჯერად რუსეთს მოვლენათა შესაძლო განვითარებაში მონაწილეობის უფლებას აღარავინ მისცემს: ფორმალურად ხომ საქართველო ცამდე მართალი იქნება — საკუთარი გერიგორიული მთლიანობისთვის ვიბრძვიო...**

გამოიჩინა და ჯერ მხოლოდ ფინანსებში ელემენტარული წესრიგის დამყარების ხარჯზე 2,5-ჯერ — 5 მლრდ რუბლამდე გაზარდა რესპუბლიკის ბიუჯეტი, ახლა კი ინვესტიციებს ეძებს, თუმცა მხოლოდ ამ პატარა ეკონომიკური სასწაულით ვერას გახდები.

ლიფიცირი სამედიცინო დახმარების სრული სპექტრის სრულიად უფასოდ აღმოჩენას გულისხმობს.

ამ ყველაფრის ფონზე აფხაზებს რეალურად აშფოთებთ პრაქტიკულად ყოველწლიური ქართულ-ამერიკული

წვრთნები და ნატოს სწავლებები. დღევანდელი ქართული ჯარი აღარ არის ის, რომელმაც 1992 წელს სოხუმსა და გაგრას შეუტია, ისეთიც კი აღარ არის, როგორიც 2008 წლის ომში ვიხილეთ. დღეს ეს ნატოელი ინსტრუქტორების მიერ კარგად გაწვრთნილი და შეირაღებული 37 000-იანი საბრძოლო მანქანაა, რომელსაც ძალუძს, თავისუფლად შეუტოს სოხუმს. თანაც ამჯერად რუსეთს მოვლენათა შესაძლო განვითარებაში მონაწილეობის უფლებას აღარავინ მისცემს: ფორმალურად ხომ საქართველო ცამდე მართალი იქნება — საკუთარი ტერიტორიული მთლიანობისთვის ვიბრძვიო. და, რაც მთავარია, ამჯერად საქართველოს ექნება, რით იბრძოლოს: ახალი ქართულ-ამერიკული პროგრამის მიხედვით, რომელმაც მიმდინარე წლის მარტში აიღო სტარტი, მომზადდება 9 ბატალიონი, უახლოესი სამი წლის განმავლობაში კი მთელი ჯარის რეფორმირება დასრულდება. ამასთან, ბოლო დროს ამერიკული დახმარება ყოველწლიურად 50-70 მლნ დოლარს შეადგენდა. ახლა კი საქართველო აშშ-ისგან თანამედროვე საზენიტო და ტანკანაალმდეგო სისტემებს ითხოვს, განსაკუთრებით — Javelin-ის ტიპის რაკეტებს და ეს თხოვნა, სულ მცირე, ყურად იღებს... ასე, რომ აფხაზების შეშფოთება მთლად უსაფუძვლოდაც ვერ ჩაითვლება: თავად მათი ჯარი ხომ სულ რაღაც 2000-მდე კაცს ითვლის.

რისი გაკეთებაა შიშილვა ან ვითარებაში? თუ მოსკოვი აფხაზეთისთვის სერიოზული ინვესტიციების გამოყოფას ვერ შეძლებს, საკუთარი ბაზარი მაინც უნდა გაუხსნას მის პროდუქციას — სამკურნალო წყალს, ეპოქოგიურად სუფთა ხილს, კანკარაშულს; ჩამოყალიბდეს მართლაც უნიკალური ჯამბიკა და მუშაობა დაიწყოს ნარმოვანა, რაც საკმაოდ მარტივია... პრაზიდენტი ხაჯიმბა კი საუბრობს საკმაოდ დარწმუნებულად უფრო მსხვილ პროექტებზეც, თუმცა აფხაზეთის ყველაზე საუკეთესო ბაზარი მაინც კი ინვესტიციების არარსებობას ეპყრება, რასაც რესპუბლიკაში რუსეთის მხრიდან „აფხაზური პროექტისადმი“ ინტერესის დაქვეითებას უკავშირობენ.

ყველაფერი რომ თავისი სახელით ვარქვავთ, დღეს აფხაზი ხალხი ნანწყინა და გაბოროტებული — უფულობითა და უიმედობით გადაიღალა. და იცით, რას ამბობენ დღეს სოხუმში? „მაინც მოგვიწევს, ვინმეს მივეყიდოთ, ვარიანტი კი მხოლოდ ორია: ან რუსები, ან ქართველები და ამერიკელები, და არჩევანი თავისთავად ცხადია — რაკი მოსკოვს არ ვჭირდებით, ამერიკელები თუნდაც კრემლის წასაკენად მოგვხედავენო“.

რომ შევჯავშოთ, საქართველო ამერიკელების დახმარებით ძალზე ოსტატურად იყენებს მათარსისა და თაფლაკვერის პრაქტიკას: თან ყველას ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს, რომ აფხაზეთის საკითხში არანაირი კომპრომისი არ იქნება, თან ენგურსიქითა დამოურჩილებელი ხალხის დემორალიზებას ასდენს: ნახევარმა აფხაზეთმა ხომ უკვე მიიღო ენგურსი გადამა მართლაც კვალიფიციური სამედიცინო დახმარება და ახლა უფრო უჭირთ, ქართველში მტერი დაინახონ. შედეგად ახლა ისინი ასჯერ დაფიქრდებიან, აიღონ თუ არა ხელში საჭიროების შემთხვევაში იარაღი.

საბოლოო ჯამში, ეს ნიშნავს, რომ თუნდაც მცირედით, თუნდაც უმნიშვნელოვნად, მაგრამ აფხაზური „კუნძული“ რუსეთიდან საქართველოსკენ დაიძრა. და რა ექნათ, უბრალოდ დაველოდოთ, როდის აღიმართება ფსოვზე საქართველოს და ნატოს დროშები?.

მიქტორ სოპირაძე  
<http://svpressa.ru>

## ბრაჰმა კონგრესს აშშ-დან მიგრანტების განღვივებისკენ მოუწოდა

აშშ-ის პრეზიდენტმა Twitter-ში კონგრესს მიგრაციის შესახებ კანონის მიღება და არალეგალური მიგრანტების ქვეყნიდან განდევნა მოუწოდა. „საზღვარზე წესრიგის უზრუნველყოფელი სამსახურები შესანიშნავად მუშაობენ, მაგრამ კანონები, რომლებსაც უნდა დავექვემდებაროთ, საშინელია. როცა ადამიანები ბავშვებით, ან მათ გარეშე ჩვენ ქვეყანაში შემოდიან არალეგალურად, მათ უნდა უთხრათ, რომ ისინი წავიდნენ აქედან“, — წერს ტრამპი. ტრამპი მიიჩნევს, რომ არალეგალური მიგრანტები აშშ-დან სასამართლოს გადამწყვეტილების გარეშე უნდა გაადგომოდნენ.





© წიგნი – საჩუქარი

ერთი ხანია, გამომცემლობა „პალიტრა-L“-მა დაიწყო ერთობ ღირებული საქმე – სერიის „ქართველი მეფეები – პატრონი და მსახური ქვეყნისანი“ გამოცემა. მკითხველმა უკვე მიიღო მონოგრაფიები: „ფარნავაზი“, „თამარ მეფე“, „ბაგრატ III“, „ვახტანგ VI“, „გიორგი III“, „გიორგი II“, ველოდებით ტომებს გუბაზ II-ის, არჩილ II-ის, დავით აღმაშენებლის, ბაგრატ IV-ის, ალექსანდრე I დიდის, მირიანის, დემეტრე I-ის, ერეკლე II-ის, გიორგი I-ის, ლუარსაბ I-ისა და სიმონ I-ის, გიორგი ბრწყინვალის, ფარსმან I-ისა და ფარსმან II-ის, სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის, დემეტრე თავდადებულის, ლაშა-გიორგის, ბაგრატ III იმერეთის მეფის, ვახტანგ გორგასლის, დავით ულუს და დავით ნარინის ზეობისა და საგმირო საქმეთა შესახებ.

ახლახან მივიღეთ ამ საინტერესო და საჭირო სერიის ახალი ტომი – „ფარნავაზი“. მისი ავტორი ანტიკური ისტორიის ცნობილი სპეციალისტი გრანი ქავთარია გახლავთ – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი წიგნის ავტორი. მკითხველი კარგად იცნობს მის მონოგრაფიებს „საბერძნეთი“, „რომი“, „სპარტაკი“, „ჰანიბალი“... როგორც ამ ჩამონათვალითაც საცნაურდება, ბატონი გრანი ერთობ ფართო სპექტრის მკვლევარია, ამის დასტური გახლავთ მისი ნაშრომები საქართველოს ისტორიის ისეთ ურთულეს, ბუნდოვან, წყაროებით მწირ პერიოდზე, როგორც ქართლის სახელმწიფოებრიობის აღმოცენების ხანაა.

ბატონმა გრანმა ღრმად შეისწავლა ქართლის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტორია. მას წლების წინათ გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები „აზონი“, „ფარნავაზი“, „ქუჯი“. ქართველ ისტორიკოსთა შორის ერთ-ერთმა პირველმა წარმოაჩინა, რომ ლეონტი მროველის მიერ ყოველმხრივ უარყოფითად დახასიათებული აზო (აზონი), რომელიც მართალია უცხო ძალის დახმარებით გამოვიდა ასპარეზზე, მაგრამ სულაც არ ყოფილა უცხოელი, „არიან ქართლის“ მეფის ძე, კლარჯი დიდებული იყო და არა, დამპყრობი და ქართველთა სისხლისმსმელი, პირიქით, ქართლის სახელმწიფოს შექმნა-

# ფარნავაზი - მეფე ყოველს ქართლსა და ეგრესს ზედა



ზე გადაგებული მოღვაწე გახლდათ.


ალექსანდრე მაკედონელის ძლევაში სილმა ლაშქრობებმა საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ისტორიის ახალ ეპოქას – ელინიზმს. ალექსანდრემ დაანგრია ძველი სამყარო, დაამხო სპარსეთის აქემენიდათა საუკუნოვანი ბატონობა და ეგვიპტიდან ინდოეთამდე დაამყარა ახალი წესრიგი. მაგრამ მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ახალშექმნილი უზარმაზარი იმპერია მახვილით დაინაწილეს მისმა თანამებრძოლმა სტრატეგოსებმა – მეგვიდრე დიადოხოსებმა. განაწილების ეს პროცესი 40 წელი გაგრძელდა. ამ პერიოდიდან არის სავარაუდებული მანამდე სპარსელთა მორჩილებაში მყოფი საქართველოს (ეს ტერმინი

ამ შემთხვევაში პირობითია, ლაპარაკია ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველურ ტომებზე) ჩართვა იმდროინდელ საერთაშორისო მოვლენებში, ამავე პერიოდში ჩნდება ქართველურ ტომთა სახელმწიფოდ გაერთიანების იდეა.

უძველესი ქართული წყაროს „მოქცევაი ქართლისაის“ თანახმად, აზონი „იყო პირველი მეფე მცხეთასა შინა“, იგი საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფიგურაა, უმართებულად ატარებს უარყოფითი გმირის მძიმე მოსახსამს, რომლითაც შემოსა მისი მომდევნო, ფარნავაზის დინასტიის აპოლოგეტურმა საისტორიო ტრადიციამ, თუმცა აზონის საქმენი მისი სახელმწიფოებრივი აზროვნების მაღალ დონეზე მეტყველებს. მასთან ბრძოლაში გამარჯვებულმა ფარნავაზმა მტკიცედ განაგრძო წინამორბედი ხელისუფლის დანერგული სიხალენი.

აზონი 24 წელი მართავდა მის მიერ შექმნილ სახელმწიფოს. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს შეთქმულებმა, რომელთა წინააღმდეგობა ფართომასშტაბიან აჯანყებაში გადაიზარდა. ამ შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა მცხეთის მამასახლისი, ბრძოლაში დაღუპული სამარას ძმისწული ფარნავაზი. ფარნავაზთან ერთად აზონის სანინააღმდეგო მოძრაობას შეუერთდა და განსაკუთრებული როლი შეასრულა ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ. სავარაუდებელია, რომ ფარნავაზის გვერდით დადგნენ ქართლის დანარჩენი ერისთავებიც.

აზონი ბრძოლის ველზე დაიღუპა, მეფე გახდა ფარნავაზი, რომელმაც 66 წელი იმეფა „ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა“. მემატიანის სიტყვებით, დაიწყო ქართული სახელმწიფოს არსებობამ, ანუ საქართველოს სათავეში ჩაუდგა ეროვნული ინტერესების მძლავრად გამომხატველი ხელისუფლება.



წიგნის ავტორი იზიარებს ლეონტი მროველის შეფასებას, რომ ფარნავაზის მეფობის ხანაში საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ყველა ატრიბუტი, მოაწესრიგა ურთიერთობა ცალკეულ კუთხეებს შორის, დაადგინა საზღვრები, გაატარა ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფა. ფარნავაზის რელიგიურმა და კულტურულმა პოლიტიკამ დააკავშირა მანამდე განკერძოებულად მცხოვრები ტომები.

ძველი საქართველოს ისტორიის ამ უთვალსაჩინოესმა მოღვაწემ პირველმა დაამკვიდრა ქართლისა და ეგრისის ერთიანობის გაგება, „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ფარნავაზის ეპოქა იწყება ძვ.წ. III საუკუნის 80-იანი წლებიდან. ერთიანი სახელმწიფოს დაბადებასაც ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი. აი, ამ ამბავს გვიყვება პროფესორი გრანი ქავთარია, ისტორიული წყაროების გამონვლილვით შეჯერებისა და ლოგიკური განსჯის საფუძველზე.  
**სანდრო ალექსიძე**

© ისტორიის ფურცალი

## ქვები წინამუხრიდან და ილიას წითელი ბაიჩალი

**რა განძი იპოვა ილია ჭავჭავაძემ წინამურში. სადაც წლების უამრავი ეკლავები ჩაუსაფრდნენ?**

ილიას უყვარდა სტუმრების მიღება საგურამოს მამულში, კაკლების ძირში, სადაც მისი დანატოვარი ქვის მასიური მაგიდები დღემდე დგას. სწორედ ამ ქვებს უკავშირდება წინამურში ოქროს განძის უშედეგო ძებნის ისტორია. ილია ჭავჭავაძის ყოფილი მეეტლე ილია ჩალაური იხსენებს ამ ამბავს. თურმე, ილიამ დაიჯერა თქმულება, რომ წინამურში ერთ ადგილას ხაზინა არის დამარხული:

„ილიას ინტერესი ჰქონდა იმ ადგილის გათხრას. ერთხელ მოახერხა, წაგვიყვანა აქაური რამდენიმე კაცი და დაგვანყებინა იმ ადგილის გათხრა. ჩვენ კარგა ხანი მოგვისდა მუშაობა იმ მიწის მოთხრაზე. ილია იჯდა და გვიყურებდა. მე შევატყვევ, რომ ცოტა ეძინებოდა ილიას. მე ვუთხარი: ბატონო ჩვენა ვმუშაობთ და თქვენ რაღათ სწუხდებით, მიბრძანდით ემანდ ახლო, კარგი

მწვანეა და იქ დაისვენეთ-მეთქი! არ მინდა, რომ დავიძინო, ბიჭო, იქნებ რამე გამოჩნდება მიწაშიო, სთქვა ილიამ. მერე ვუთხარი, თუ კი რამე გამოჩნდება, ღმერთი იყვეს თავდები, რომ ჩვენ არას დაგვალავთ-მეთქი. ახლა ილიამ მითხრა, არა, ბიჭო, მე იმას კი არ ვამბობ, რომ თქვენ დამალავთ, მე ის მინდა, რაც გამოჩნდება გამოჩენისთანავე ჩემი თვალით დავინახოვო. მოვთხარეთ, მაგრამ დიდი ფიქალის ქვის მეტი არაფერი გამოჩნდა, ამოვიტანეთ ის ფიქლები და და ილიამ თავის კაკლების ქვეშ მაგიდებზე გაგვამართინა“.

თავდაპირველად ოთხი მაგიდა იყო, თუმცა დღეისათვის მხოლოდ სამია შემორჩენილი. ერთი, დროთა განმავლობაში, გაიბზარა და გატყდა. ამ მაგიდის ნაშთებიც იქვე, შორიასლოა დანაწილები. ილიას არა თუ უყვარდა სტუმრების



მიღება საგურამოს მამულში, არამედ სოფელში მოსვლისას, საგანგებოდ, წითელ ბაიჩალსაც კი გადმოჰყიდებდნენ ხოლმე წიწხად იმისა, რომ ვისაც ილიასთან საქმე ჰქონდა, იმას გაეგო და მიუსულიყო საქმის გასაკეთებლად.

ეს წითელი ბაიჩალი თბილისელი ხელოსნის გ. ქუმარიტაშვილის მიერ იყო დამზადებული საგანგებოდ ილი-

ასთვის 1896 წელს. ბაიჩალის წინა მხარეს ვერცხლისფრად ამოქარგულია ფრაგმენტი ილიას პოემიდან „მეფე დიმიტრი თავდადებული“: „კაცი უნდა კაცად იყვეს, სანთელსავით თვით დაიწვას და სხვა კი გზას უნათვიდეს“. ასევე ამოქარგულია: სამელნე, კალამი (ბატის ფრთა) და ილიას ავტოგრაფი.

ბაიჩალის უკანა მხარეს ვერცხლისფრადვე ამოქარგულია ილიას ინიციალები „ი.ჭ.“ რომელსაც თავზე ადგას გვირგვინი.

ილიასთან ნამსახურები საგურამოელი ქალის პელო ლაბაურის მოგონებებში ვკითხულობთ: „როცა ილია ჩამოვიდოდა საგურამოში, ბაიჩალს აუშვებდნენ და ამით ანიშნებდნენ გლეხებს, თუ ვის რა დარდები ჰქონდათ, მისულიყვნენ და შეეჩვილათ“.

111 წელი გავიდა ილიას მკვლელობიდან. 111 წელია, ილიას სახლის თავზე ბაიჩალი არ აფრიალებულა.

**ჯიფთარ რახვიაშვილი**





## © რაზმი

## ჩვენი შანსი

მეორე კვლევების ლიგა, რომელიც ამჟამად პრო14-ის სახელითაა ცნობილი და სადაც ირლანდიის (4 გუნდი), უელსის (4), შოტლანდიის (2), იტალიისა (2) და სამხრეთ აფრიკის (2) ფრანგიზები თამაშობენ, უახლოეს პერიოდში კიდევ ორი მონაწილის დამატებას აპირებს.

„ვეფრობ, 16 მონაწილე იდეალური იქნება.



ჩვენ უკვე ვამუშავებთ განახლებულ ფორმატს. განვიხილავთ რამდენიმე ვარიანტს და გადაწყვეტილებას შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით მივიღებთ: გუნდის პერსპექტიულობა, დაფინანსების დონე, გულშემატკივართა რაოდენობა, კონკურენტუნარიანობა. გვსურს, რომ ლიგამ განვითარება განაგრძოს და საინტერესო იყოს. რა თქმა უნდა, ჩვენ კვლავ მივაქცევთ ყურადღებას სამხრეთ აფრიკას და იაურ გუნდებს, თუმცა, გვაქვს სხვა ქვეყნების ვარიანტებიც“, – განაცხადა პრო14-ის ხელმძღვანელმა მარტი ანაიმ.

შესაძლო სხვა ვარიანტებად კი საქართველო და აშშ განიხილებიან.

კობა კობახიძე

## © ფაზაურთი

## ხასიათი გამოიკეთეს

საპარტიველს ეროვნული ლიგის პირველი წრე სამი შეხვედრით დასრულდა, რომელთაგანაც ორში დიდი სხვაობა დაფიქსირდა. ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში შედგა, სადაც „დინამო“ „დილას“ უმასპინძლა.

გორელებს შანსი ჰქონდათ, რომ გამარჯვების შემთხვევაში პირველი წრე მეორე ადგილზე დაესრულებინათ, მაგრამ გიორგი დარასელიას გუნდმა მიმდინარე სეზონში ყველაზე ცუდი 90 წუთი ჩაატარა და უშუალო კონკურენტთან განადგურდა. „დინამო“ მეტოქეს მთელი თამაში აღემატებოდა და შედეგად ლოგიკური იყო. ყველაფერი პირველ ტაიმში გადაწყდა, როცა კახა კაჭარავას გუნდი ოთხხუროთიანი უპირატესობით გავიდა წინ და მეორე ნახევარში ფორმალბობა გახადა. თბილისელთა რიგებში დუბლი გაიფორმეს ბუდუ ზიგზივამ და ოთარ კიტეიშვილმა, ხოლო ლაშა თოთაძემ მოედანი უგოლოდ ამჯერადაც არ დატოვა. ამრიგად, „დინამო“ ევროპა ლიგამდე კარგი ხასიათი შეიქმნა და ახლა წინ სეზონის მთავარი მატჩია. იქამდე კი „დინამო“ პირველი წრე მეორე ადგილზე დაასრულა და ლიდერ „საბურთალოს“ 5 ქულით ჩამორჩება. იქვეა „დილა“, თუმცა, გორელთა ჩამორჩენა ლიდერთან გაცილებით სოლიდურია – 9 ქულა.

იგივე სიტუაციაშია საჩხერის „ჩიხურა“, რომელმაც ევროტურნირამდე ბოლნისის „სიონის“ დამარცხებით გამოიკეთა ხასიათი. იმერლებსაც არ ჰქონიათ პრობლემები და მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს. საჩხერელთა რიგებში ირაკლი ლეჭეთაძე გამოირჩა, რომელსაც დიდებული მატჩი ჰქონდა – პეტი-თრიკი გაიფორმა. „ჩიხურამ“ პირველი წრე ევროზონაში დაასრულა და შეიძლება სეზონის ეს მონაკვეთი მისთვის დადებითად შეფასდეს.

და ბოლოს, დაზავდნენ „ლოკომოტივი“ და „რუსთავი“. სტუმრები გუნდში დაბრუნებული დათა სიჭინავას გოლით იგებდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში რკინიგზელთა ფორვარდმა მამია გავაშელიშვილმა გაათანაბრა და დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა. ეროვნულ ლიგაში ერთთვიანი პაუზა და სეზონი 3 აგვისტოს განახლდება. შუალედში „ტორპედოს“, „დინამოს“, „სამტრედიას“ და „ჩიხურას“ ევროტურნირებზე მიუწევთ თამაში.

ლიდერთა ჯგუფი: „საბურთალო“ – 43, „დინამო“ – 38, „დილა“ – 34 ქულა.

გიორგი შოთაძე

## საპარტიველს ჩამოვლილა


## © ფილმი – პერსპექტივა

## „აღმასვლა“ ყველა უნდა პნასოთ, იქნებ მერე საკუთარი აღმასვლას ვიხილოთ!

გარეშე; როგორი სარკაზმით არის გაშარყებული ქვეყნის უნდა ემელონებში დამკვიდრებული რეჟიმის მოთხოვნები, რაც ხალხისათვის 70-იან წლებში და შემდგომ, სრულიად გაუგებარი და მიუღებელი, სწორად კი სისულელესთან იყო გათანაბრებული. მაგრამ ისიც მართლად არის ნაჩვენები, თუ რა ძალაა ხალხთან მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა და თანაზიარების შეგნება.

ახლა იმაზე, თუ როგორ არიან ნაჩვენები კალათბურთის ქართველი რაინდები...

...დღევანდელმა ახალგაზრდებმა არც კი იციან, ვინ იყვნენ ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია, ისევე, როგორც არ იციან ახლო წარსულის საამაყო სხვა ვაჟკაცები და არანაკლებ მამაცი ქართველი ქალები. ჩვენში ვინმე მათ შესახებ ესაუბრება მომავალ თაობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებით? არავინ! ქართული ტელევიზიის ეკრანებზე გაბატონებულია უზნოებისა და უსირცხვილობის კულტი. ქართული ტელევიზიები უსაზღვროდ პრაგმატიზმით არის გაფლანდილი. ტელევიზორებზე თავს ინონებენ ნარკომანები და ბოზები, რომლებიც ამყობენ კიდევ თავიანთი უზნეობით.



ვის მაგალითზე უნდა აღიზარდონ თაობები? იმით მაგალითზე, დღეს რომ ტელევიზორებზე არიან გამომდგარი, ადრე ნავთის ბიდონები რომ იყო გამოდგმული ჭიშკარში?

...და აი, ამ დიდ ფილმში ორი ქართველი რაინდი სპორტსმენი ისეა წარმოდგენილი, რომ, ასე მგონია, სწორედ მათ სსოვნება ეძღვნება ეს ფილმი. რა დიდი სიყვარულით არის შექმნილი საკანდელიძესა და ქორქიასთან დაკავშირებული „საქართველოში“ გადაღებული კადრები, როგორი მონივნებით არის გადმოცემული ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციები...

ეს ფილმი ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ინიციატივით ქუთაისშიც უჩვენებიათ და იქაც დიდი ინტერესით მიუღია საზოგადოებას, მაგრამ... რატომღაც ჩვენი ქვეყნის კინოთეატრების ეკრანებზე მისი ჩვენება დაბლოკეს. რატომღაც მეთქი კი ვთქვი, მაგრამ, ყველამ კარგად იცის ამის მიზეზი: იმ დამბოკველების ჭკუით, რუსეთში გადაღებული ფილმი აუცილებლად აგრესიული პროპაგანდის შემცველია!

ამ ფილმს რომ ქართველ ხალხს „დაუშალო“, ვინ წააგებს ამით? რუსეთის არაფერი დააკლდება, მაგრამ ჩვენ? ამასთან დაკავშირებით ძველი ანეკდოტი მასხადნება ერთ სულელ ბიჭზე: ბიჭი მეზობელ დურგალთან მივიდა და სთხოვა, ბიძია, ერთი დიდი ლურსმანი ჩამაჭედე

თავშიო. შენ ხომ არ გაგიჟებულხარ, ეგ რამ გაფიქრებინაო, – დურგალმა. რამ და, პარიკ-მახერზე ვარ ნაწყენი და თმის საკრეჭი მანქანა მინდა გაუფუჭოო.

გაგიკვირდათ, არა? სამტრედიიაში რომ სატვირთო ემელონი მიაღუდეს რელსებზე, რუსეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოეყვება დეიო, გასსოვთ? რითია ეს საქციელი იმ სულელი ბიჭის განზრახვაზე უკეთესი? არც არაფრით! იმ „ეკონომიკური ბლოკადის“ გამომცხადებელი (და მისთანანი) დღეს და გუშინაც ჩვენს პარლამენტში სხედან.

ბრიყვზე ბრიყვი უნდა იყო კაცი, რომ არ იცოდეს, საბჭოთა კავშირის ისტორია ჩვენი ისტორიაც არის, მისი ყველა ომი ჩვენი ომიც იყო, მისი ყველა გამარჯვება ჩვენი გამარჯვება იყო, მისი ყველა წარუმატებლობა თუ გასაჭირი ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წარუმატებლობა და გასაჭირი იყო! ვინც თავის წარსულზე უარს ამბობს, მას არც ანმყო და მომავალი აქვს.

იმ დღეს, როდესაც მიუნხენში საბჭოთა კალათბურთელთა ნაკრებმა ამერიკის შეერთებული შტატების მანამდე უძლეველი ნაკრები დაამარცხა და ოლიმპიური ოქროს მედლები

მოიპოვა, ცნობიერად მყოფი მთელი საქართველო სიხარულით ტირიდა! რა უხაროდათ, რუსეთის იმპერიის გამარჯვება? კი, აბა, ზოგიერთი ლიბერალის თავის ხეთქვამ! იქ საკალათბურთო მოედანზე, სპორტის ორი რაინდი – ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია ქართული ტემპერამენტის უსაზღვროობას რომ უჩვენებდნენ მსოფლიოს, ეს უხაროდათ! ამერიკელებთან მატჩის დაწყებამდე მთავარმა მწვრთნელმა კონდრაშინმა რომ საგანგებოდ მიმართა ქართველებს – ზურაბ, მიშიკო (მიშიკოო!), აბა, თქვენი იცით, ტემპერამენტი, ტემპერამენტიო, – ეს ეამაყებოდათ.

...ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური მატჩის კომენტატორი ნიკოლაი ოზეროვი ხმის ჩახლენამდე რომ გაჰყვიროდა მიკროფონზე (თითქოს, მიხეილ მესხი მის ხმას გაიგონებდა მოედანზე) „სამ ბეი, მიშა, სამ ბეი!“ ეს გვიხაროდა. ფინალური მატჩი პარიზის სტადიონზე გაიმართა, სადაც ათიათასობით მაყურებელი ფეხზე მდგომი უკრავდი ტაშს ორ ქართველ გარემარბს – მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველს (მაშინ სლავა მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა!).

ასეა ეს და ჩვენი ისტორია, რომელსაც ეს ჭკუანაკლული და უსამშობლო, ცვედანი ლიბერალისტი ვერ დაგვავინწყვებ!

ეს ახალი სპორტული ისტორიული ფილმი, დოკუმენტური სიზუსტითა და მხატვრული ოსტატობით რომ აცოცხლებს ნახევარი საუკუნის წინანდელი სპორტული გმირობის ამბავს, სადაც სრულიად აშკარად სწორედ ორი ქართველი დიდოსტატი – ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია არიან წინა პლანზე, აუცილებლად უნდა ნახოს ქართველმა ახალგაზრდობამ. ამ საქმეში ხელის შემლა სამშობლოს ღალატია და სამშობლოს ღალატს გამართლება არ აქვს!

ზურაბ ცუცქერიძე



გავიდნენ გიორგი ხუჭუა (72) და ლაშა გობაძე (82), ლაშა მარიამიძესა (63) და რევაზ ნადარეშიშვილს (98) ვერცხლის მედლები ერგოთ, ლევან ქავთარაძე (63), ზურაბ დათუნაშვილი, გელა ბოლქვაძე (ორივე – 82), გიორგი მელია და ალექსანდრე ლოდია (97) კი „ბრინჯაოებით“ დაკმაყოფილდნენ. „თავისუფლებმა“ სამივე ფინალი მოიგეს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ ბექა ლომთაძე (61), ზურაბ იაკობიშვილი (70) და გიორგი პეტრიაშვილი (125), ხოლო გიორგი რევაზიშვილმა (61) და ირაკლი მწითურმა (92) მე-სამე ადგილები დაიკავეს.

ამდენად, თბილისის საერთაშორისო ტურნირი მასპინძლებმა 20 მედლით დაასრულეს: 7 ოქრო, 4 ვერცხლი და 9 ბრინჯაო. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა „თავისუფლებმა“ 102 ქულით გაიმარჯვეს, ხოლო „კლასიკოსები 144-ით მეორეზე გავიდნენ – მხოლოდ გოგი კოლუაშვილისა და ლევან კუბეგაძის რუს შევირდებს (154 ქულა) ჩამორჩნენ.

გივი ბაგვა

ახლახან, 29 ივნისს, თბილისში, ზემელზე, კინოს სახლში, პირადად ჩემთვის მოულოდნელად, ხელოვნებისა და მოქალაქეობის ჭეშმარიტ ზემის შევესწარი, რომელიც ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის ცენტრმა მოგვიწყო. იმ საღამოს იქ თავმოყრილ საზოგადოებას გვიჩვენეს ნიკიტა მისხალკოვის კინოსტუდიაში რეჟისორ ანტონ მამარდიაშვილის მიერ გადაღებული შეგნაწი ფილმი „აღმასვლა“.

სამწუხაროდ, მე არც ამ ცენტრის არსებობა ვიცოდი და არც მეგერდინევის ფილმზე მსმენოდა რამე. საბედნიეროდ, თეატრისა და კინოს მაგისტრანტმა, მსახიობმა ირაკლი მიქავამ მიმიპატიჟა: ძალიან მინდა ნახოთ ეს ფილმი, სადაც მე და ჩემი მეგობარი, მსახიობი ოთარ ლორთქიფანიძე ვთამაშობთო. ბავშვობიდან კინოს დიდი მოყვარული ვარ და ამგვარ მიპატიჟებაზე უარს როგორ ვიტყვოდი, მით უფრო, რომ ირაკლი მიქავას ნიჭიერებასა და ერუდიციას დიდად ვაფასებ და სამომავლოდაც ერთობ მეიმედება.

მივედი. ფილმის დაწყებას ნახევარი საათი მაინც აკლდა, მაგრამ სტუმართა (თუ მას-პინძელთა) დიდი ნაწილი უკვე მოსულიყო. ბევრ ცნობილ სახეს მოვკარი თვალი: მსახიობებს, რეჟისორებს, პოლიტიკოსებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. მათ შორის ჩემი ნაცნობებიც ბლომად იყვნენ. სწორედ მათგან შევიტყვევ საბრუნებელი ფილმის შინაარსი და მნიშვნელოვანი დეტალები. ეს ფილმი თურმე მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ბრწყინვალე ასპარეზობას ეძღვნებოდა და ჩემი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან, ჯერ ერთი, სპორტული თემატიკა ხელოვნებაში ძალიან მიზიდავს და, მეორე, რაც მთავარია, იმ ოლიმპიურ საკალათბურთო ნაკრებში ორი დიდი ქართველი კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია თამაშობდნენ. სწორედ ამ დიდ სპორტსმენებს ასახიერებენ ირაკლი მიქავა და ოთარ ლორთქიფანიძე... აბა, როგორ არ დავინტერესდებოდი იმით, თუ როგორ წარმოაჩენდნენ რუსები ქართველებს იმ სასწაულებრივ შერკინებაში...

ახლავ უნდა ვთქვა: სპორტულ თემაზე შექმნილი ბევრი ფილმი მინახავს, ჩვენიც და უცხოურიც, მაგრამ ასეთი დინამიკით გაერთიანებული მთელი სურათი, სპორტული და არასპორტული ეპიზოდები, ამდენ ხანს არ შემხვედრია. თუმცა, სწორად არ ვთქვი: ამ ფილმში არასპორტული ეპიზოდები არ არის. ერთი შეხედვით, თვით არასპორტული ეპიზოდებიც სპორტულია, კალათბურთის ენერგიით არის დამუხტული. ასე რომ, ამ სრულმეტრაჟიან სურათს სუნთქვაშერული ვუცქერდი და, მე მგონია, ასე იყო მთელი დარბაზი. თითქოს მხატვრულ ფილმს კი არ ვუცქერდით, პირდაპირ სპორტულ დარბაზში ვისხედით და ნახევარი საუკუნის წინ მიუნხენში ნამდვილ საკალათბურთო მატჩს ვესწრებოდით. ამიტომ იყო, რომ ტაში სწორ-სწორად მოსწყდებოდა ხოლმე სასიამოვნოდ გაოგნებულ მაყურებელს. ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოებია „აღმასვლა“!

ბევრი ცნობილი მსახიობი თამაშობს ამ ფილმში. მარტო გარმაშის ყოფნა ერთ რამედ ღირს, რომელიც საბჭოთა სპორტული სამყაროს მაღალჩინოსანს ასახიერებს.

რა ოსტატურად არის ნაჩვენები ისტორიული სიმართლე, ყოველგვარი ბოლმისა და წარსულისადმი აკვირებული ნეგატივიზმის

ბევრი ცნობილი მსახიობი თამაშობს ამ ფილმში. მარტო გარმაშის ყოფნა ერთ რამედ ღირს, რომელიც საბჭოთა სპორტული სამყაროს მაღალჩინოსანს ასახიერებს.

რა ოსტატურად არის ნაჩვენები ისტორიული სიმართლე, ყოველგვარი ბოლმისა და წარსულისადმი აკვირებული ნეგატივიზმის

## © ჭიდაობა

## 20 მედლით დაასრულეთ

საქართველოს ოლიმპიურ სასახლეში დამთავრდა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ვახტანგ ბალაქაძისა და გივი კარტიოზის სახელობის დიდ პრიზზე, რომლის ფინიშზეც ქართველმა ფალანგებმა წინა დღის მონაგარს 6 ჯილდო შემატეს – სამივე სინჯის 2-2 მედალი, თანაც სამი „თავისუფლებმა“ და ამდენი – „კლასიკოსებმა“.

თავისუფალ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ელიზბარ ოდიკაძე (97), რომელმაც ფინალში თანაგუნდელ გივი მაჭარაშვილს 86 მოუგო. მეორე ვერცხლის მედალი საბა ჩხერაძემ (86) დაიმსახურა.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ოქროს მედალი ქუთაისელმა ზვიად პატარიძემ (130) მოიპოვა, თუმცა, ფინალში ოფლის დაუღვრელად, რადგან ოლიმპიური პრიზიორი სერგეი სემიონოვი (რუსეთი) საჭიდაოდ არ გამოუცხადდა. ბრინჯაოს მედლები ამირან შავაძესა (60) და საჩინო დავითიას (67) ერგოთ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დავითიამ თორნიკე ჯანგაძეს აჯობა.

შეგახსენებთ, რომ წინა დღეს „კლასიკურში“ პირველ ადგილებზე



## პრეზიდენტის სიძე კვლავ შარში გახვდა



საძარტველოს პრეზიდენტის სიძე მინდია გოგოჭური დაჭრეს. „კურიერის“ ინფორმაციით, გოგოჭურს რამდენიმე წრილობა ფეხში აქვს მიყენებული. ის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორმა მეგობარმა გვიან ღამით მიიყვანა. დაპირისპირება კი, რომელიც პრეზიდენტის სიძის დაჭრით

დასრულდა, სოლოლაკში მოხდა.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო.

\* \* \*

შსს პრეზიდენტის სიძის მინდია გოგოჭურის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს, სადაც თვითმხილველებს და მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციის მქონე ყველა პირს მოუწოდებს, გამოიჩინონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ითანამშრომლონ გამოძიებასთან.

„2018 წლის 6 ივლისს ძველი თბილისის სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება, რომ 1989 წელს დაბადებულ მინდია გოგოჭურს, ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლთან ცეცხლსასროლი იარაღით ბარძაყის, მუხლისა და ქუსლის არეში მიაყენეს ჭრილობები. გოგოჭურს თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაცია ჩაუტარდა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მინდია გოგოჭური მომხდართან დაკავშირებით გამოძიებასთან არ თანამშრომლობს და დაჭრის დეტალებზე არ საუბრობს. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო ატარებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს შემთხვევის ადგილისა და დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენა-დაკავების მიზნით“.

## შეჯახება დიღოში

მარშალ გელოვანის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევას 3 ადამიანი ემსხვერპლა, 2 კი დაშავდა. ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი და ერთი მიკროავტობუსი შეეჯახა. სამივე გარდაცვლილი „მერსედესში“ მყოფი პირია. აღნიშნული ავტომანქანა აზერბაიჯანის სანომრე ნიშნებით მოძრაობდა.

## სუიციდი გორში

გორის რაიონში, სოფელ ხელთუბანში 17 წლის ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს. გარდაცვლილი ექსპერტიზის ბიუროში გადასვენეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

უწყების ცნობით, დანიშნულია შესაბამისი საექსპერტო პროცედურები.

## 16 წლის გოგონა თბილისში ოპერაციის დროს დაიღუპა

თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაციის დროს 16 წლის გოგონა დაიღუპა. გარდაცვალების ზუსტი მიზეზი უცნობია.

მოზარდი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხვითიდან იყო. გოგონას დაღუპვასთან დაკავშირებით ინფორმაციას შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს. არსებული ინფორმაციით, მოზარდს ყელში ჯირკვლების ანთება ჰქონდა და ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.

## აპტოსაგზაო შემთხვევა დიღუბაში

გვიან ღამით მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას თბილისში ერთი ადამიანი ემსხვერპლა. „მაზდას“ მარჯვენა ტომობილი დიდუბეში, ენ. ხიდების მიმდებარე ტერიტორიაზე ბოძს შეეჯახა. მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა. ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარე გახდა. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო.

## ონი მამაკაცი დაჭრეს

შემთხვევა 4 ივლისს მოხდა. „პირველი რადიოს“ ინფორმაციით, ი.მ.-მ, სავარაუდოდ, სანადირო თოფით დაჭრა მ.მ.

დაჭრის ფაქტი „პირველ რადიოს“ შსს-ში დაუდასტურეს. უწყების პრესსამსახურში აცხადებენ, რომ დანაშაული ცხელ კვალზე გაიხსნა და გამოძიება სსკ-ს 118-ე, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო. უწყების ინფორმაციით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გასევის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა მ³	საწყისი ფასი (ლარი)	ბეს-თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ხულოს მუნიციპალიტეტი. სოფელი დანისპარაული.	„მდ. აჭარისწყლის შენაკადის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-I	P	21 900	19 045	5 200
2	ხულოს მუნიციპალიტეტი. სოფელი დანისპარაული.	„მდ. აჭარისწყლის შენაკადის ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს უბანი N-II	P	22 200	19 305	5 200
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო			
საიდენტიფიკაციო ნომერი			245429200			
მისამართი/ტელეფონი			ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10			
სარგებლობის ლიცენზიის სახე			სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია			
ლიცენზიის მოქმედების ვადა			1 წელი			
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			<p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის შესაბამისად;</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შპს „დეტლა კომმო“-ს 2018 წლის 05 მაისის №გ-250/05-17 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელმა შესრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“ „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“-ს საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ანსეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს ასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>			
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 11 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 14 აგვისტოს დღის 18.00 საათზე			აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 11 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 14 აგვისტოს დღის 18.00 საათზე			
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 14 აგვისტოს დღის 18.00 საათზე			
სხვა მონაცემები			აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში			

## ჩოხატაურის მერის ნარკომაფიქციონი ნარკო- დანაშაულისთვის დააპაპეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხის თვითმმართველი ორგანოს ხელმძღვანელი, 1974 წელს დაბადებული გელა ეზიშვილი ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.



ჩადენილი დანაშაული ნაღობის

მდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა გ.ე. დაბა ჩოხატაურში დააკავეს. პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას 1 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღო. ჩატარებული ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ გ.ე. დაკავებისას ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

## ჩოხატაურის მერის ნარკომაფიქციონი ნარკო- დანაშაულისთვის დააპაპეს

გურიის მუნიციპალიტეტიდან რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე გაიტაცეს. გავრცელებული ინფორმაციით, 30 წლამდე მამაკაცი ოკუპირებულ სოფელ არცევიდან გაიტაცეს.

პაატა არაქელოვი კონფლიქტის ზონაში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალისში ცხოვრობს.



დანართი №1 (4 ფურცელი)  
დამტკიცებულია  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის  
2018 წლის „05 ივლისის“  
№ 01-01-3/317 ბრძანებით

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და  
ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო  
წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით  
ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შეიტანავს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, აკაკი შანიძის ქ. N 5	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	36 500 მ <sup>3</sup> /წელიწადში (ორ ჭაბურღილზე)	417,00	300,00
2	ქ.ბათუმი, დაბა ხელვაჩაური, აკაკი შანიძის ქუჩის მომდებარე ტერიტორია	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P	3 წელი	136 500 მ <sup>3</sup> /წელიწადში (ორ ჭაბურღილზე)	1 558,30	600,00
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება			აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო				
საიდენტიფიკაციო ნომერი			245429200				
მისამართი/ტელეფონი			ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10				
სარგებლობის ლიცენზიის სახე			სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია				
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			<p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;</p> <p>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის სამისოდ უფლებამოსილი პირი;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;</p> <p>ზ) ჭაბურღილებზე მოსაწყისრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაცია;</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ზრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>				
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 10 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 10 აგვისტოს 2018 წლის დღის 18.00 საათზე				
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი			ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 10 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 10 აგვისტოს დღის 18.00 საათზე				
სხვა მონაცემები			აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში				

© დღესასწაული

**იოანე  
ნათლისმცემლის  
უბა!**

7 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეპიტოკეფალური სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს შობას პატრიარსისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იოანესი.

ცნობილია, რომ წინასწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი მარიამ ღვთისმშობლის მერე, ყველაზე პატივდებული წმინდანია, მის პატივსაცემად შემდეგი დღე



სასწაულებია დადგენილი: ჩასახვის (ოქტომბერი), შობის (ივლისი), თავის კვეთის (სექტემბერი), ნათლისმცემლის კრება (იანვარი), ნათლისმცემლის თავის პირველი პოვნა, მეორე პოვნა, მესამე პოვნა (ივნისი), იოანეს მარჯვენის მალაქიდან გაჩენიანში გადასაფხენება.

ისივე საგულისხმოა, რომ წინასწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი მღვდელ ზაქარიას (აარონის მოდგმა) და მართალ ელისაბედის (მეფე დავითის მოდგმა) შვილი იყო. მისი მშობლები მთიან მხარეში, იერუსალიმის სამხრეთით, ქერონის მახლობლად (თანამედროვე პალესტინა) ცხოვრობდნენ, ის დედის მხრიდან უფალი იესო ქრისტეს ნათესავი იყო და უფალზე ექვსი თვით ადრე დაიბადა. როგორც მახარებელი ლუკა მოგვითხრობს, იოანეს მამას ზაქარიას ტაძარში მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა და მას მოიხვალე ვაჟის დაბადება აუწყა. მათ უჩნდებოთ ვაჟი, რომელსაც იესის ლოცვებში ითხოვდნენ.

დმართის წყალობით, ის გადადურს სიკვდილს, როდესაც ჰეროდეს ბრძანებით ბეთლემსა და მის შემოგარენში ათასობით ჩვილი მოწყვეტეს. წმინდა იოანე ველურ უდაბნოში გაიზარდა და დიდი მსახურებისთვის საკუთარ თავს მკაცრი ცხოვრებით — ბარხვითა და ლოცვით ამზადებდა. იგი უხეშ ტანისამოსს ატარებდა, რომელიც ტყავის ქაშრით ჰქონდა შეკრული და ველური თაფლითა და მავალით იკვებებოდა, იგი უდაბნოს მცხოვრებელ დარჩა იქამდე, სანამ უფალმა ის ოცდაათი წლის ასაკში მესიის საბადაგებლად არ მოიხიო.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოწოდებას დამორჩილებული წინასწარმეტყველი იოანე იორდანეს ნაპირზე გამოცხადდა, რათა ხალხი მომავალი მესიის (ქრისტეს) მალეღებდნენ მოემზადებინა. განწმენდის დღესასწაულის წინ, ხალხს დიდი რაოდენობით ეკრიბებოდა მდინარეებთან რელიგიური განბანისთვის. აქ მიმართა მათ იოანემ და მონანიება და ცოდვათა მისატყვებლად ნათლობა უწევდა.

...ქრისტეს ზათლობა სასწაულებრივი მოვლენებით აღინიშნა – სულინმიდის მტრედის სახით გარდამოსვლით და მამა ღმერთის ხმით ზეციდან: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი...

**გიული ლიპარტია**

**ზღვაზე 4-ბაღიანი შტორმის  
მოსალოდნელი**

საბანკებში სიტუაციების მართვის სამსახური შავი ზღვის სანაპიროზე დამსვენებლებს აფრთხილებს. დღეს ზღვაზე 4-ბალიანი შტორმია მოსალოდნელი, რის გამოც ბანაობა აკრძალულია.

«ყველა სამაშველო კოშკურაზე აღმართულია ნითელი ალამი. ყურადღება მიაქცეით ამკრძალავ ნიშნებს. კოშკურებზე თეთრი ალმის აღმართვის შემთხვევაში ზღვაზე ბანაობა ნებადართული იქნება. გთხოვთ, დაიცვათ უსაფრთხოების წესები», - ნათქვამია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებაში.

**მდინარეებზე ნყლის დონის  
მაბაბას და მენყრულ-  
ღვარსოვულ პარკებს  
პროგნოზირებენ**

**ბარემოს** ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში 8 ივლისამდე ამინდის მკვეთრი გაუარესება მოსალოდნელია. ნაერაზუდევია დროგაზოშვებით წვიმა ელჭქეით, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა და ქარის გაძლიერებაც. მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექმა, შესაძლებელია, საქართველოს მდინარეებზე წყლის დონე მნიშვნელოვანი მატება გამოიწვიოს, მცირე მდინარეებზე კი – წყალმოვარდნები, ხლო ქვეყნის მთიან ზონებში მენყერულ-ღვარცხოვული პროცესები გააქტიურდეს.



# პინკ პარკის



## ირანს ღრუბლებს?

ირანელმა ოფიციალურმა პირმა ქვეყნის მტრები, მათ შორის ისრაელი — ამინდზე ზემოქმედებაში დაადანაშაულა, რათა ირანი გვალვამ დააზარალოს. „პასიური თავდაცვის ორგანიზაციის“ — ირანის შეიარაღებული ძალების შემადგენელი შენა-

ერთის მეთაური ლოლამრეზა ჯალაღამოვიდა ასეთი ბრალდებით შესხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა სოფლის მეურნეობის პრობლემებს, მათ შორის გვალვას. ბოლო დღეებში სამხრეთ-დასავლეთ ირანში რამდენიმე აქციაზე გააპროტესტეს სასმელი წყლის ნაკლებობა.

როგორც ჯალაღამოვი ამბობს, ირანის „კვლევით ცენტრებში“ ჩატარებული კვლევამ დაადასტურა, რომ ამინდი შეცვლილია უცხოეთიდან მანიპულირების შედეგად. „ბოლო ოთხი წლის განმავლობაში იკვლევდნენ მთიან რეგიონებს ავღანეთიდან სმელთაშუა ზღვამდე. დაადგინეს, რომ 2200 მეტრს ზემოთ იქ თოვლი იდო, მაშინ, როცა ჩვენი მთები მშრალი რჩებოდა“, — ამბობს ჯალაღამოვი. მისივე განმარტებით, — „ისრაელისა და ირანის ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის ერთობლივი ჯგუფები ქმნიან ღრუბლებს, რომლებიც ირანში შედის“ და ასეთი ღრუბლებიდან წვიმა არ მოდის... ჯალაღამოვის არ დაუზუსტებია, რომელ მე-

ზობელ ქვეყანას გულისხმობს, მაგრამ თქვა ის, რომ არსებობს „ღრუბლების მოპარვისა“ და „თოვლის მოპარვის“ პრობლემა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მედია ავრცელებს.

ამასობაში, საკუთრივ ირანის მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წარმომადგენელმა უარყო ლოლამრეზა ჯალაღამოვის მტკიცება. ამინდის პროგნოზის განყოფილების უფროსის აჰმად ვაზიფეჰის განმარტებით, ქვეყნებს არ შეუძლიათ „თოვლის ან ღრუბლების მოპარვა“. საინფორმაციო სააგენტო „ილნასთან“ საუბრისას ვაზიფეჰმა თქვა, რომ არაფერი სმენია კვლევაზე, რომელიც ჯალაღამოვი ასხენა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო წლებში მართლაც გახშირდა გვალვები, რაც მსოფლიო მასშტაბის ტენდენციაა. მეცნიერის აზრით, ჯალაღამოვის კომენტარებს ყურადღება პრობლემის რეალურად მოგვარების საჭიროებიდან სხვა საგანზე გადააქცეს.

RADIOTAVISUPLEBA.GE

## საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი

საბარტაძე ქოშულია

299-02-10

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიასვილი

599 53-76-16;

ალექო

ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაქიძე

514 33-33-24

გამომცემლობა:

შპს „თანადგომი“-ს გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკის“

გამომცემელი

ტ. 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა

„ქოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)

ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა  
საჩუქრადღებოდ!

რედაქციის მიერ  
შეუპყრთაში მასალაზე  
დაიბაძება ავტორ-  
თა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრება-  
ზე, შესაძლოა, გუდას  
არ ემთხვეოდეს  
რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აბეზინ  
ავტორები.

## „საქართველოს რესპუბლიკა“

შენი გაზეთია.

აუსილებლად

გამოიწარა.

იყიდა.

წაიკითხე!

## სილვესტერ სტალონე 72 წლის გახდა

ცნობილი ამერიკელი მსახიობი, კინორეჟისორი და სცენარისტი მაიკლ სილვესტერ გარდენზიო სტალონე, ცნობილი როგორც სილვესტერ სტალონე, 1946 წლის 6 ივლისს დაიბადა.

სილვესტერ სტალონე ცნობილია თავისი მძაფრსიუჟეტური პოლიცეიდური როლებით. მისი როლებიდან გამორჩეულია და მსახიობის რეპუტაციაზე გავლენის მქონეა მოკრივე როკი ბალბოა და ჯარისკაც რემზოს პერსონაჟები.

სილვესტერ სტალონე დაიბადა ქალაქ ნიუ-იორკში, ფრენკ სტალონესა და ჯეკი სტალონეს ოჯახში. მამამისი ფრენკ სტალონე პარიკმახერი იყო, დედა, ჯეკი სტალონე (ყაკლინი) კი — ასტროლოგი, ყოფილი მოცეკვავე და ქალთა ჭიდაობაში პრომოუტერი. სლასის უმცროსი ძმა ფრენკ სტალონე მსახიობი და მომღერალია. სტალონეს მამა დაიბადა გოია დელ კოლში (აშუღია, იტალია) და ბავშვობაში აშშ-ში ემიგრირებით გადასახლდა. სლასის დედა ნახევრად რუსულ-ებრაული და ფრანგული წარმოშობისაა.

## როგორც სოფია უკრაინაში ვიზიტს გეგმავს

ჰუმანოიდმა რობოტმა მიწვევა უკრაინულ-ამერიკელი ბიზნესმენსგან უკვე მიიღო. ბიზნესმენმა მარკ გინზბურგმა რობოტი სოფია 2-3 ივლისს ყაზახეთში, Global Silk Road-ზე სპეციალურ ვახშამზე გაიცნო, რომელსაც საკმაოდ გავლენიანი პირები ესწრებოდნენ.

„სოფია ოდნავ დაღლილად გამოიყურებოდა. პირველად მას დილით ფორუმზე შევხვდი. მისი ერთ-ერთი შემქმნელი დამპირდა, რომ მასთან პირისპირ შემახვედრებდა“, განაცხადა გახარებულმა ბიზნესმენმა.

როგორც გინზბურგმა განმარტა, რობოტი სოფია კიევს ოქტომბერში ეწვევა.



როგორც საზოგადოებისთვისა ცნობილი, რობოტი სოფია პონკოვგური კომპანია Hanson Robotics-ის მიერაა შექმნილი და საუდის არაბეთის მოქალაქე გახდა, ის პირველი რობოტია, რომელმაც მოქალაქეობა მიიღო. თავის მხრივ, საუდის არაბეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც რობოტი მოქალაქე ჰყავს.

ჰუმანოიდ რობოტს ადამიანის მსგავსი ვიზუალი, ქცევები და ემოციები აქვს.

## მეშ, „კარგია“ ის თუ „ცუდი“?

ძოლესტარინი ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი ქიმიური კომპონენტია, ურომლისოდაც, ჩვენ, უბრალოდ, არსებობს ვერ შევძლებდით. მისი მონაწილეობით ორგანიზმში ახალი უჯრედები იგება, ვიტამინების ათვისება ხდება და პორმონები იწარმოება.

მაგრამ „კარგია“ ქოლესტერინი მხოლოდ იმ დრომდეა, ვიდრე სისხლში მისი შემცველობა უსაფრთხო ფარგლებში რჩება. როგორც კი ეს დონე 200-250 მილიგრამს (ლიტრში 5,2-6,2 მმოლს) გადააჭარბებს, კეთილი დამხმარედან ის მაშინვე მავნებლად გადაიქცევა.

ქოლესტერინი ორგანიზმში საკვებიდან სხეულში შემდგენი სისხლში გადადის, სადაც შრატის ქოლესტერინად გადაიქცევა, რომელიც, თავის მხრივ, „კარგად“ და „ცუდად“ იყოფა. პირველი მათგანი მაღალი სიმკვრივის ეგრეთ წოდებულ ლიპოპროტეიდებს წარმოშობს, რომლებიც არტერიებს წმენდენ. მეორე კი დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებს ქმნის, რომლებიც ოდნავი სიჭარბის შემთხვევაში სისხლძარღვების კედლებს ათეროსკლეროზული ბალებით ბიდნიან.



## ტყუილ-მართლის დრო

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ტყუილს ადამიანები საღამოობით უფრო ხშირად ლაპარაკობენ.



ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ 18 საათის შემდეგ სიცრუისა და პატარ-პატარა ეშმაკობების აღბათობა მოხალისეებში 25 პროცენტით მატულობს. საუბრის დროს უზუსტობების დაშვების რიცხვი კი 50 პროცენტით იზრდება.

ამიტომაც, როგორც ირკვევა, ურთიერთობათა დამყარება და მოლაპარაკებათა წარმოება დილაობითაა უმჯობესი.



### უხსოვარი პალატის კარსი:

აშუ ფოლარი - 2.4475; პირი - 2.8594;

ბრიტანული ბირჟაზე სტატიონი - 3.2420;

100 რუბლი - 3.8711; თურქული ლირა - 0.5281;

ახარბაიჯანული მანათი - 1.4403;

1000 სომხური დრამი - 5.0673.

### აიენდი 7 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარა - ღამე +19, ღამე +35

მთიანი რაიონები - ღამე +14, ღამე +28

დასავლეთი საქართველო:

ბარა - ღამე +19, ღამე +29

მთიანი რაიონები - ღამე +16, ღამე +29

თბილისი: ღამე +22, ღამე +34

### დაავიკაპათ, მოგვწერათ:

ტელ: 299-02-10,

599-79-76-79

ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru

და sakresp@top.ge